# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 13 აპრილი, 2007 წელი.

№ 65 (5666)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ქიტოშვილმა სეპარატისტებისგან 50 000 000 დოლარი აიღოო



②

## დრო იცვლება, მაგრამ რუსეთი იგივეა მარად და მარად... 5

სიტინი იმდენად გაცოფებული იყო საქართველოს და ქართველების სიძულვილით, რომ თავბრუ ჰქონდა დახვეული და პროცენტებსა და ციფრებს ვერ არჩევდა და ვერ ანსხვავებდა ერთმანეთისგან. ასევე ვერც ქართველების ვინაობაში ერკვეოდა.

## „უაზრო ხმაური არ მსურს, უაზრო დუმილი მიჭირს“... 4

ბატონო პრეზიდენტო, ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ, გთხოვთ, მიპასუხოთ, მართლა გულწრფელად გწამთ, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა საათივით მუშაობს და თვით ევროპელთათვის, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის მისაბაძ-შესანატრია?

## გრიბოედოვს მთაწმინდის პანთეონიდან „ასახლებენ“? 10



9

## პატივი ვცეთ ისტორიულ მეხსიერებას

## ახალმა სადგურმა გორი დაამშვენა



6

● ალმოჩნდა, რომ კულტურული მემკვიდრეობის აღდგენას და რეაბილიტაციას ხელისუფლება საზოგადოებრიობის „ჯიბით“ ცდილობს. თუ ხალხი ქონებას საკუთარი ფინანსებით მოუვლის და შეინახავს, მაშინ რაღა საჭიროა ეს კანონპროექტი?..



№ 65. პარასკევი, 13 აპრილი, 2007 წელი.

◉ კანონმდებლები

# მოძრაობის წესების დამრღვევთათვის საჯარიმო სანქციები გაიზრდება

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატან ცვლილებებზე პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი თითქმის მთელი წელი მუშაობდა. კოდექსი 1984 წლიდან არ შეცვლილა. ინიციატივა პრეზიდენტს ეკუთვნის. ამ ეტაპზე პროექტს საპარლამენტო კომიტეტებში განიხილავენ. კანონი 2008 წლიდან ამოქმედდება.**

ცვლილებების მიხედვით, მძღოლებისთვის საჯარიმო სანქციები იზრდება. დღემდე მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო ჯარიმა 150 ლარს შეადგენდა. ახალი საკანონმდებლო ინიციატივით კი, ნასვამი მძღოლები, შესაძლოა, 300 ლარით დაჯარიმდნენ. იცვლება არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფთა შემოწმების წესიც.

**„გამოვყოფდი ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დადგენის ახალ პროცედურას. კერძოდ, ნოვაცია არის ის, რომ, თუ მაგალითად, მოქალაქე უარს ამბობს აღნიშნული შემოწმების გავლაზე, დადასტურებულად მიიჩნევა მისი ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალე და ადმინისტრაციულ ორგანოს უმარტივდება ადმინისტრაციული სასჯელის დაკისრების პროცედურა, ანუ ჩაითვლება, რომ იგი უკვე არაფხიზელ მდგომარეობაშია და მის მიმართ საჯარიმო სანქციები ავტომატურად განხორციელდება“,** — აცხადებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟუაშვილი.

მოქმედი კოდექსის თანახმად, არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვა მხოლოდ 150 ლარით ისჯება. თუ მძღოლს არა აქვს მართვის მოწმობა და ნასვამია — 250 ლარით. ახალი კანონპროექტის მიხედვით კი, ასეთი მძღოლი 350 ლარით დაჯარიმდება. თუ ნასვამმა მძღოლმა ადამიანი მსუბუქად დააზიანა, მას 500 ლარით დააჯარიმებენ ან მანქანის მართვის უფლებას ორი წლით ჩამოართმევენ. თუ ასეთ პირს თან არც მართვის უფლება აღმოაჩნდება, ჯარიმა სავარაუდოდ, 1000 ლარამდე გაიზრდება.



კანონპროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ სანქციების გაზრდა უსაფრთხოების გარანტიებსაც გაზრდის. სტატისტიკის მიხედვით, საგზაო წესების დარღვევების რაოდენობა ბოლო დროს განსაკუთრებით გახშირდა. საჯარიმო ნიხრსაც სწორედ მათს შესამცირებლად უმატებენ.

ძალიან გავრცელებულია მანქანის მართვის დროს მობილურით ლაპარაკი. ცვლილების თანახმად, ამის გამო, პიროვნება 50 ლარით დაჯარიმდება. ამჟამად ამისთვის მძღოლები მხოლოდ 20 ლარს იხდიან. ახალი კოდექსით, სამართალდამრღვევად ჩაითვლება ვიდეოფირზე ან ფოტოზე აღბეჭდილი ფაქტიც. ჯარიმები იზრდება მანქანის ელექტრომოწყობილობის გაუმართაობაზე. მწყობრიდან გამოსული მაშუქების დაზიანებული მინის საწმენდის გამო მძღოლი 50 ლარით დაჯარიმდება, მანქანის მინების უნებართვოდ დამუქება კი 100 ლარი დაუჯდებათ.

სამას ლარამდე დაჯარიმდებიან ისინი, ვინც იმ სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობებს შეუშლიან ხელს, რომელზეც სპეციალური სიგნალებია ჩართული. იმატებს საგზაო წესების დამრღვევ ქვეითად მოსიარულეთა ჯარიმების ოდენობაც. სამი ლარის ნაცვლად, მათ, შესაძლოა, ათი ლარის გადახდა მოუწიოთ, ხოლო, თუ მათ გამო მოძრაობა შეფერხდა, ან მანქანამ მსუბუქი დაზიანება მიაყენა ვინმეს ან რამეს, ასი ლარი ჯარიმა დაეკისრებათ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატან ცვლილებებს პარლამენტი პლენარულ სხდომაზე უახლოეს მომავალში განიხილავს.

**მზია ხურცილავა**

◉ მხარდაჭერა

# ნატოში ინტეგრირების გზაზე

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აშშ-ს პრეზიდენტის მიერ ნატოს თავისუფლების კონსოლიდაციის აქტზე ხელმოწერის ფაქტს ეხმაურება და აცხადებს, რომ აღნიშნული აქტი ნატოს გაფართოებისადმი ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს.**

„ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ამ პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას საქართველო განიხილავს, როგორც ნათელ გზავნილს იმის თაობაზე, რომ ჩვენი არჩევანი და ალიანსში გაწევრიანებისკენ მიმართული ძალისხმევა სათანადოდ იქნება შეფასებული, — ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. 10 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ხელი მოაწერა ნატოს თავისუფლების კონსოლიდაციის აქტს, რომელიც მხარს უჭერს ალბანეთის, ხორვატიის, მაკედონიის, საქართველოს და უკრაინის ნატოში ინტეგრაციას. აქტის თანახმად, ხანგრძლივი სტაბილურობა და უსაფრთხოება ევროპაში მოითხოვს ახლად აღმოცენებული დემოკრატიების სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას არსებულ ევროპულ სტრუქტურებში.“

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ რაღად გინდა ეს კანონპროექტი?

# „ტფილისის ჰამქრის“ უსტაბაში და მოურავი ასე ფიქრობენ...

**საზოგადოებრიობა კულტურის სამინისტროს კანონპროექტს, ისტორიულ უბნებში შესაძლო 3-ლარიანი მოსაკრებლის დაწესების შესახებ, კვლავ აპროტესტებს. ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ ხალხს საპროტესტო აქციების გამართვისკენ მოუწოდა, ზოგიერთი კი ამ პროექტს სასამართლოთი დაემუქრა. მმართველმა პარტიამ კი ოპოზიციონერები კვლავ პოლიტიკური ქულების მოპოვებაში დაადანაშაულა.**

ამჯერად თავისი პოზიცია თბილისზე მზრუნველთა გაერთიანება „თბილისის ჰამქარმა“ გამოხატა.

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობა სახელმწიფოს კუთვნილებაა და მასზეც ის ზრუნავს, მაგრამ საქართველოში ყველაფერი პირიქით ხდება. წარმოუდგენელია, რომ ადამიანს საკუთარი ქონების რესტავრაცია-რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხა იძულებით გადაახდევინო. ხოლო, თუ ვერ გადაიხდის და ვალი დაგროვდება, საჯარიმო სანქციებიც დაუწესო.

მოგეხსენებათ, კანონპროექტის პარლამენტში განსახილველად შეტანის შემდეგ მისი შინაარსი ოპოზიციამ გაახმაურა, რამაც საპარლამენტო უმრავლესობის უკმაყოფილება გამოიწვია. მაშ, კანონპროექტის ავტორები მის შინაარსს საგულდაგულოდ მალავდნენ, რადგან საზოგადოებრიობის აღშფოთებას მოელოდნენ.



„ეს კანონპროექტი ძალიან ზოგადი, ზერელე და ბუნდოვანია. საზოგადოებრიობისათვის გაურკვეველია, თუ რა თანხა უნდა ამოიღოს ხელისუფლებამ მოსახლეობისგან და რამდენია საჭირო კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაცია-რეაბილიტაციისათვის. ჩვენთვის მიუღებელია გადასახადის ასეთი ფორმით დაწესება. თუ ხელისუფლებას ამ უბნებიდან მოსახლეობის „დეპორტაცია“ და უძრავი ქონების იაფად ხელში ჩაგდება არა აქვს განზრახული, მაშინ მისგან ზედმიწევნით გაწერილ და გათვლილ კანონპროექტს ველოდებით.

კულტურული მემკვიდრეობა მხოლოდ მეპატრონის კუთვნილება არ არის, ის საერთოეროვნული მემკვიდრეობაა. შევთანხმდეთ და, გარკვეული პერიოდი, საზოგადოებრიობამ ეროვნული სოლიდარობის გადასახადი გადაიხადოს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ბეგარა და ღალა. ჩვენი სურვილია, რომ ამ საკითხზე გაგრძელდეს დისკუსია და დიალოგი, რომ ეს პროექტი ნაჩქარევი არ გამოვიდესო, — განაცხადა „ტფილისის ჰამქრის“ უსტაბაშმა ალექსანდრე ელისაშვილმა.

რომელი სოლიდარობაა? ხომ გვარწმუნებენ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ? თუ ასეა, დემოკრატია ხალხის მმართველობას ნიშნავს, ხალხი კი გადასახადის დაწესების წინააღმდეგია...

„ამ კანონპროექტით შეიძლება ადამიანის საკუთრების უფლება დაირღვეს. თუ ადამიანს ძველ უბანში 100-150მ² აქვს, მაგრამ ამ გადასახადს ვერ გადაიხდის, ხელისუფლებამ, ქონების ნაწილი გაყიდოს და ისე გადაიხადოსო, რაც საკუთრების უფლების აშკარა შეზღუდვა და შელახვაა. სწორედ ეს იწვევს ეჭვს და მიგვაჩნია, რომ ამ ინიციატივის მიზანი მავანთა მიერ მოსახლეობის ქონების იაფად ხელში ჩაგდებაა“, — აღნიშნა „ტფილისის ჰამქრის“ მოურავმა გიგა კობალაძემ.

იყიდება საქართველო!... ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ შეიძლება უახლოეს მომავალში ჩვენს სახლებში მდიდარი უცხოელები ჩასახლდნენ...

ალმოჩნდა, რომ კულტურული მემკვიდრეობის აღდგენას და რეაბილიტაციას ხელისუფლება საზოგადოებრიობის „ჯიბით“ ცდილობს. თუ ხალხი ქონებას საკუთარი ფინანსებით მოუვლის და შეინახავს, მაშინ რაღა საჭიროა ეს კანონპროექტი?..

**მაია ხორგუაშვილი**

◉ შეურიგებელი ოპოზიცია

# ქიტოშვილმა სეპარატისტებისგან 50 000 000 დოლარი აიღოო

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ დიმიტრი ქიტოშვილის საპარლამენტო მდივნად დანიშვნის თაობაზე პრესკონფერენცია გამართა.**

იგი აღშფოთებულია იმით, რომ „ისეთ წურბელას, ბიუჯეტის დამტაცებელსა და ქვეყნის ინტერესების გამყიდველს“ აწინაურებენ, როგორიც ქიტოშვილია.

**სამი კაცის წლიური ანაზღაურება 2620000 $?!**

„მაშინ, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლება ამ ქვეყნის რიგით მოქალაქეებს საკუთრებაზე არნახულ გადასახადებს უწესებს და მამაპაპისეული სახლებიდან მათი გამოსახლება აქვს გადაწყვეტილი, ისეთ პერსონას აწინაურებენ, ვინც მილიონობით ქონება დაიტაცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და გრანდიოზული სასახლე აიშენა წავკისში, რაც მილიონ ლარამდე დაუჯდა, — ცხარობს გუგავა.

„ქიტოშვილის კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეობის პერიოდში დაწესდა წუთობრივი გადასახადები, მობილურ კავშირებზე ხელოვნურად შენარჩუნდა მონოპოლისტური ფასები... ამ პერსონამ ქვეყნის ინტერესების გაყიდვით 50 000 000 დოლარი მიიღო, როდესაც სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მობილური ტელეფონით სარგებლობის შესახებ ლიცენზია გასცა“, — განაცხადა მან. გუგავამ წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2007 წლის ბიუჯეტი იყო გაწერილი.

ამ სამკაციანი კომისიისთვის, თურმე 7 მილიონი ლარი ყოფილა გამოყოფილი. აქედან, წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის — 15 000 ლარი; მიმდინარე რემონტისთვის — 70 000, შრომის ანაზღაურებისათვის (მხოლოდ 3 კაცზე!ძ — 2 620 000, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ხარჯებისათვის — 30 000.

„ეს ყველაზე ცინიკური მუხლია ამ დოკუმენტში. თურმე, კომისია მომხმარებელთა ინტერესებსაც იცავდა. დაცვა კი, ფაქტობრივად, მხოლოდ ტარიფების გაზრდა იყო“, — აღნიშნა გუგავამ.

„აი, ეს არის ხელისუფლების სახე და სამართალი. ეს ადამიანი მისი კლასიკური მაგალითია“, — დაასკვნა მან.

**სოფიო გოგლიძე**

ხელისუფლებამ ისეთი მცირე საქმეც ვერ დაანახვა ხალხს, რაც მათი ერთობლივი ძალისხმევით განდიდდებოდა. პირიქით — ისტორიული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის დიდ საქმეს ფარისევლობით, ანდაზით, მიზანი ამართლებს საშუალებასო, კლავს. თუმცა, ძალა, ალბათ, ამჯერადაც მოხნავს აღმართს, მაგრამ აღმართს ხომ დაღმართი მოჰყვება?!.



თვალსაზრისი

# კონსტიტუციაშიც ისე „ამოურევენ ქაფქირს“, როგორც ხაშლამის ქვაბში

## ამჯერადაც მოხნავს ძალა აღმართს?!

**ნათქვამია, თანხმობა მცირე საქმესაც განადიდებს, უთანხმოება კი დიდ საქმესაც წაახდენსო. ისტორიული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა უდავოდ დიდი საქმეა, მაგრამ დიდ საქმეს ასევე „დიდებულად“, ანუ ჭკვიანურად და რეალობის გათვალისწინებით უნდა მიდგომა.**

მერედა, ასე უდგებიან ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა-აღდგენას ჩვენი ხელისუფალნი? აგერ, რამოდენა საპროტესტო ტალღა აზოზოქრდა. ხან ბოკერიამ, ხან ნადირაძემ, ხან უგულავამ და ხანაც გაბაშვილმა არწმუნეს, არწმუნეს და მაინც ვერ დაარწმუნეს ხალხი, რომ ე. წ. ისტორიულ მემკვიდრეობის ზონებსა და ისტორიულ უბნებში დასაწესებელი მოსაკრებლები მათივე საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, კრეზუსებად თუ არა, „ხალხის მსახურთა“ დარად გასამდიდრებლად მაინც არის გამიზნული.



რატომ? აღარ ენდობიან და იმიტომ! ერთი მიზეზის დასახელებაც ძალზე გაჭირდება, თუ რატომ უნდა ენდობოდეს ხალხი კვლავაც ხელისუფლებას. სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობსო. ამიტომ ხელისუფლებამ მართლაც რაიმე სასიკეთო რომც განიზრახოს ქვეყნისა და ხალხისთვის, აღარ დაუჯერებენ. ან კი, როგორი დასაჯერებელია, რომ იქ, „სულ ზემოთ“, არაფერი უწყიან, რომ ხალხის 90 პროცენტს მაინც დამატებით რაიმე, თუნდაც ერთობ მცირე გადასახადის გადახდა, აღარ ძალუძს. აქლემის საპალნეს ნემსი დაადეს და წააქციაო. სწორედ ასე ვართ და ამიტომ ვერ გადაიხდიან თუნდაც 10 თეთრს კვადრატულ მეტრზე. ამიტომაა ეს კანონპროექტი ხალხის სიკეთისთვის მკვდრადშობილი. თუ სადმე, რომელიმე ქვეყანაში დაუწესებიათ ასეთივე მოსაკრებელი, უცილობლად ხალხის შეძლებაც გაუთვალისწინებიათ. ელექტროენერგიის, გაზის, წყლისა თუ ნაგვის გადასახადი ისე გაგვიდიდეს, ხალხის გადახდისუნარიანობის გათვალისწინება აზრად არავის მოსვლია. ახლა კიდევ ეს, თუნდაც მართლაც საშვილიშვილო საქმისთვის განკუთვნილი ზეგარა? ის კი აინუნშიაც არავის მოსდის, რომ, თუ ასე გაგრძელდა, ამქვეყნად აღარც შვილიშვილები იქნებიან...

ამიტომ სრულიად საფუძვლიანია ეჭვი, რომ ხელისუფალთ, იმათ, ვინც მათი მეშვეობით ლობირებს ხალხისთვის მკვრადშობილ ამ კანონპროექტს, სარფა აინტერესებთ და არა კულტურული მემკვიდრეობა.

სქემა მარტივია: უქონელნი რის გადამხდელნი იქნებიან? ჰოდა, მქონებელნი ლამის მუქთად ჩაიგდებენ ხელში უზარმაზარ ქონებას. ისტორიულ უბნებში მცხოვრებთ კი, ალბათ, სადმე „გეტოებში“ შერეკავენ. ისიც ხომ ვიცით, რამდენ პარლამენტარსა და მთავრობის წევრსა აქვს ცოლებზე, ძმებზე, მშობლებსა თუ სხვა ნათესავებზე გაფორმებული ბიზნესი? აქედან კარგა ბლომა სამშენებლო ფირმაცაა. გაისიგრძეგანეთ, რამდენმაგი მოგებაა. ხომ თქვა კახა კუკავამ, პარლამენტში ციმციმ ჩამოგითვლით 50 მილიონერს მაინცო. ეს, რაც მან იცის, რაც არ იცის?

მერედა, თუ ასე შესტკივათ გული ისტორიაზე, ხელი გამოიღონ; თუ ასე უანგარონი არიან, ხალხს ეს ახალი ჭირი შეუმსუბუქონ. თანხის რაღაც ნაწილის გადახდა იკისრონ.

ყველაზე საინტერესო კი ესაა: როცა ოლიგარქები დაეპატრონებიან ამ ჯერაც დაუდგენელ „კულტურულ ზონებსა“ და „უბნებს“ და სასწრაფოდ მოსაკრებლებსაც გაიუქმებენ, სავარაუდოდ, გამაგრებულ-აღდგენილ ისტორიულ ძეგლებს ეგრევე დატოვებენ?! აბა, მერე ნახეთ სამორინე-სასტუმრო-რესტორნების მშენებლობის ბუმი. მე თქვენ გეტყვით, სათანადო კანონს ვერ შეთხზავენ? ეგ კი არა, თუ დაჭირდათ, ქვეყნის ძირითად კანონში — კონსტიტუციაშიც ისე „ამოურევენ ქაფქირს“, როგორც ხაშლამის ქვაბში. ძალაუნებურად ჩაფიქრდები, რაღად გვინდა კონსტიტუცია? კონსტიტუციაც თავად არიან, ე. წ. კანონიცა და ე. წ. სამართალიც.

ამიტომ დაკნინდა ეს, ერთი შეხედვით, მართლაც ერთობ საჭირო და საშური საქმე; ამიტომ არ არის თანხმობა ხელისუფლებასა და ხალხს შორის. ხელისუფლებამ ისეთი მცირე საქმეც ვერ დაანახვა ხალხს, რაც მათი ერთობლივი ძალისხმევით განდიდდებოდა. პირიქით — ისტორიული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის დიდ საქმეს ფარისევლობით, ანდაზით, მიზანი ამართლებს საშუალებასო, კლავს. თუმცა, ძალა, ალბათ, ამჯერადაც მოხნავს აღმართს, მაგრამ აღმართს ხომ დაღმართი მოჰყვება?!.

**კონსტანტინე გურგენიძე**

ინფორმაცია

## მორიგი პროვოკაცია

**კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მერაბ ანთაძის აპარატი 11 აპრილს ცხინვალის რეგიონში მომხდარს ეხმაურება. როგორც სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნული მორიგი შეიარაღებული პროვოკაცია იყო.**

**„ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის მიერ კონტროლირებადი სოფელ მონასტრის მიმდებარე ტერიტორიიდან, უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს სოფელ ქურთას. ინტენსიური სროლა წარმოებდა 10 წუთის მანძილზე. დაზიანებულია ქურთის სკოლის შენობა და მიმდებარე სახლები. თავდასხმას საპასუხო ცეცხლი არ მოჰყოლია, აღნიშნული პროვოკაცია რეგიონში დაძაბულობის ესკალაციის მორიგ მცდელობას წარმოადგენს და მიმართულია სამშვიდობო პროცესის წინააღმდეგ“, — ნათქვამია კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## მოძრაობა კვლავ აღდგა

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოძრაობა აღდგენილია.**

**წუხელ, გვიან ღამით, ერგნეთთან და თამარაშენთან მყოფი მოსახლეობის უსაფრთხოდ გადაადგილება ცხინვალში განთავსებული ეუთო-ს მისიის წარმომადგენლებმა მოახერხეს.**

**ოსურმა მხარემ ცხინვალის შესასვლელ-გასასვლელები 11 აპრილს, შუადღისას გადაკეტა, რის გამოც ერგნეთის საგუშაგოსთან დიდი ლიახვის ხეობისკენ მიმავალი დაახლოებით 400-მდე ადამიანი გადაადგილებას ვერ ახერხებდა. ახლა მოძრაობა პარალიზებული აღარ არის, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა გადაადგილებისგან აუცილებელი შემთხვევების გარდა თავის შეკავებას ამჯობინებს.**

**ოსურ მხარეს გზების ჩაკეტვის თაობაზე განცხადება არ გაუკეთებია, თუმცა ვრცელდება რამდენიმე ვერსია. ერთ-ერთი ვერსიით, ოსურმა მხარემ გზების ჩაკეტვის გადაწყვეტილება საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრისა და დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის მთავრობის ლიდერის მიერ სოფელ ქურთაში მშვიდობის ხეივნის გახსნის გამო გადაკეტა.**

**ინტერპრესნიუსი**

აქტუალური თემა

# ვინ და როგორ გადაურჩება ორმხრივ პასუხისმგებლობას?

**კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონპროექტზე საბოლოო გადაწყვეტილება დღეს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გახდება ცნობილი.**

მოსაკრებლის თანხის შემცირების გარდა, ოპოზიციას კიდევ ერთი მოთხოვნა აქვს — მიზნობრივად გაიწეროს თანხები, ანუ კანონპროექტში იყოს შესაბამისი მუხლი, რომელიც ამას უზრუნველყოფს.

უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ ლაპარაკი იმაზე, თითქოს მოსაკრებელი სამი ლარია, არასწორია. აღნიშნავენ, რომ კანონპროექტში მითითებულია მოსაკრებელი ათი თეთრიდან — 3 ლარამდე და არა ერთ კვ. მეტრზე 3 ლარი. „ცალკეულ შემთხვევაში, უბნებისა და სახლების მიხედვით, შეიძლება მოსაკრებლის ოდენობა ლავირებდეს. საამისო გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მიიღებენ. საკრებულომ და თვითმმართველობის ორგანოებმა შესაბამისი მოსაკრებლის დაწესებისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მოსახლეობის ცხოვრების დონე“, — მიიჩნევს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი. განსხვავებული პოზიცია აქვს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ბესო ჯუღელს: „სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინება საჭირო არ არის. მთავარია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი რა მდგომარეობაშია. თუ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინება დავიწყეთ, მაშინ, ვინც კარგად ცხოვრობს, იმას სამი ლარი უნდა დავუწესოთ, ვინც — ღარიბად — ათი თეთრი. ეს ყოვლად გაუმართლებელი იქნება“.

მოსახლეობას ყოველთვიურად ასეთი თანხის გადახდა ძალზე გაუჭირდება, მაგრამ კულტურული ძეგლების გადარჩენაც აუცილებელია. სახელმწიფოს მხოლოდ თავისი სახსრებით ამის უზრუნველყოფა არ შეუძლია. არც ის არის დადგენილი, თუ რა კრიტერიუმებით და რა პირობებით დაადგენენ სარეაბილიტაციო არეალს. ცნობილია, რომ ეს არ იქნება მთლიანად ძველი თბილისი, რადგანაც ამდენი მატერიალური რესურსი არ არის. საცხოვრებელი ან კომერციული ფართის მეპატრონეები თანხას მხოლოდ იმ პერიოდში გადაიხდიან, როდესაც კონკრეტულად მათი შენობის რეაბილიტაცია დაიწყება. კანონპროექტის ავტორები აღნიშნავენ, რომ ეს არის სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ორმხრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

**მზია გელენავა**



№ 65. პარასკევი, 13 აპრილი, 2007 წელი.

# დღევანდელობა

**● ბატონო პრეზიდენტო, ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ, გთხოვთ, მიპასუხოთ, მართლა გულწრფელად გწამთ, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა საათივით მუშაობს და თვით ევროპელთათვის, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის მისაბაძ-შესანატრია?**



№ 65. პარასკევი, 13 აპრილი, 2007 წელი.

**◎ ინფორმაცია**

## პოლიტიკური კონსულტაციები

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური უწყების დელეგაციასთან პოლიტიკური კონსულტაციები გამართა.

საქართველოსა და ჩეხეთის დელეგაციებს ხელმძღვანელობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროების პოლიტიკური დირექტორები დავით დონდუა და მარტინ პოვეჟშილი.

მხარეებმა განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის, საქართველო-ევროკავშირის პარტნიორული ურთიერთობების, ნატოში საქართველოს ინტეგრაციისა და საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხები.

სავარაუდოდ, მხარეებმა ასევე იმსჯელეს ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ევროპაში განთავსების საკითხზეც.

## ხელსაყრელი თანამშრომლობა

კიევში სამუშაო ვიზიტით მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი თავის უკრაინელ კოლეგას შეხვდა.

შეხვედრაზე ორმხრივი ურთიერთობებისა და რეგიონული თანამშრომლობის, მათ შორის, ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

11 აპრილს კიევში ხელი მოეწერა საქართველოსა და უკრაინას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის ფარგლებში გამართული ორმხრივი სამართლებრივ-ნორმატიული ბაზისა და რეგიონული თანამშრომლობის განვითარების სამუშაო ჯგუფის მეორე სხდომის ოქმს.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ აუცილებელია ივნისში საქართველოში ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მომდევნო, მეექვსე სხდომის ჩატარება.

ინტერპრესნიუსი

## გამარტივებული წესით

2007 წლის 25 მარტიდან 25 აპრილის ჩათვლით საბერძნეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ სამშობლოში გამოემგზავრონ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ცნობით, მათ შეუძლიათ დაბრუნდნენ საბერძნეთში დროებითი ცნობით, რომელსაც გასცემენ საბერძნეთის შესაბამისი სამსახურები.

ცნობაში აღნიშნულია, რომ მოქალაქეს შეტანილი აქვს დოკუმენტები საბერძნეთში ყოფნის, ცხოვრების ან მუშაობის უფლების მისაღებად.

ხი-ეიჩ-ენი

**◎ „რიტორიკული" კითხვები**

# 4. „უაზრო ხმაური არ მსურს, უაზრო დუმილი მიჭირს"...

## მოლაყბე თუმც ყრუმ დაღალა, იქნებ ვეღირსოთ პასუხს?

*დღეს განსახილველმა თემამ ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენა:*

*ვენახში მოფუსფუსე მიხოს თავს გზააბნეული ტურისტი წამოსდგომია. ხან ინგლისურად უთხოვია მისთვის ქალაქისკენ მიმავალი გზის სწავლება, ხან – გერმანულად, ხანაც – ფრანგულად, მერე იტალიური და ესპანურიც მოუშველიებია, მაგრამ, რაკი მაინც ვერაფერი გაუგებინებია, ხელჩაქნეულს ალალბედზე გაუგრძელებია გზა.*

*– უი, შენ კი მამიკვდი, ღვინის სმისა და ქართულად გინების მეტი რო არაფერი იცი, ვერა ხედამ, იმ კაცს რამდენი უცხო ენა სცოდნია?! – წამოწთებია მიხოს ცოლი.*

*– მერე რა, გამაადგა, რო? – აინუნშიაც არ ჩაუგდია მიხოს მაროს კაპასი.*

*ამის მიხედვით ჩემი დღევანდელი „რიტორიკული" შეკითხვაც ასე ჟღერს:*

### მერე რაო, პრაქტიკანტებმა, გამოგვადგაო?

**იმ საწყალი კაცივით დამემართა, ხმაურის გამო გამოღვიძებული და რეალობას დაბრუნებული, მონდომებით რომ ხუჭავდა თვალებს, – იქნებ როგორმე შევიბრუნო ძილი და ისევ მესიზმროს ის სამოთხე, რომელშიც ახლახან ოჯახთან ერთად ვიყავიო...**

**ისე ლამაზად და დამაჯერებელი აზარტით საუბრობდა, მეც ხშირად თვალებს ვხუჭავდი, – ვინძლო, რომ გავახელ, სწორედ ის ვიხილო, რაც მისგან მეყურება-მეთქი...**

საქართველოს პარლამენტში ჩვენი ახალგაზრდა და ენერგიული პრეზიდენტის ამასწინანდელ გამოსვლასა და ამ გამოს-



ვლის ცალკეულ ფრაგმენტებზე მოგახსენებთ ამას...

**– როდესაც სასამართლო სისტემის რეფორმას ვიწყებდით და ამ მხრივ ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას, იქაური სასამართლოების მუშაობას ვეცნობოდით, ვნატრობდით, ნეტავი ჩვენთან ასე როდის იქნებაო,** – ამბობდა პრეზიდენტი.

მართლაც გვქონდა მაშინ საქმე სხვათა შესანატრად-მეთქი, გულში ვეთანხმებოდი.

**– ახლა უკვე გვაქვს კიდეც საქმე ისე, როგორადაც მაშინ ვნატრობდით, უფრო მეტიც – ევროპის ქვეყნებიდან უკვე ჩვენთან ჩამოდიან სასამართლო სისტემის რეფორმირების ჩვენეული გამოცდილების გასაცნობად და პრაქტიკის გასავლელადო,** – დასძინა ბატონმა პრეზიდენტმა.

**სწორედ ამის მოსმენის შემდეგ მექანიკურად, იმ საწყალი კაცის დარად, კიდევ ერთხელ დავხუჭე თვალები, მაგრამ...**

**ააფრინე ალალიო...**

სასამართლო სისტემაში ბევრი, ძალიან ბევრი რამ რომ იყო შესაცვლელ-უარსაყოფი, ფაქტია.

ბევრი, ძალიან ბევრი რამ რომ გაკეთდა კიდეც საამისოდ, ესეც უცილოა (დიდი მადლობა ამისთვის რეფორმატორებს!).

მაგრამ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამ უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რათა სხვათათვის დასტურ შესანატრ-სამაგალითო და ევროპელი „პრაქტიკანტებისთვის" მართლაც რაიმეს შემძენი გახდეს, ვფიქრობ, არც ამას უნდა დიდი იწილო-ბიწილო.

**მაშ რად გვინდა და რას მოგვცემს ამდენი უსაფუძვლო კვეხნა და ბაქი-ბუქი?**

კარგი ვარ, ამას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასა...

**ხომ კარგი ნათქვამია?**

**ნათქვამი კია კარგი, მაგრამ კარგ მთქმელს კარგი გამგონეც რომ უნდა?**

რაო, ამჟამინდელ სასამართლოებში ყველაფერი მართლაც საათივით არის აწყობილი?

რაო, სასამართლოთა ნების მიერ გადაწყვეტილებას მხოლოდ ჭეშმარიტი სამართლიანობა-ობიექტურობის, კანონიერება-მიუკერძოებლობის თუ სხვა აუცილებელი ნიშან-თვისებების დაღი აზის?

**– ჩვენში დღეს სასამართლო ფაქტობრივად არ არსებობს!** – უცხოელ „პრაქტიკანტთათვის" შესანატრი ჩვენი ამჟამინდელი სასამართლოების „ობიექტურობით" გაოგნებულმა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა განაცხადა ეს საჯაროდ, ტელევიზიით გამოსვლისას.

**მეგონა, მეორე დღეს ხელისუფლება და საპარლამენტო უმრავლესობა ერთ ამბავს ატეხდა, რამეთუ ეს ვინმე ინტრიგანს კი არ „გაუჩმახებია", თავად სახალხო დამცველმა თქვა.**

**მაგრამ მოგცლიათ ერთი, ვის სცალია, რომელიღაც საცოდავი არსების წკმუტუნისთვის (მავანთათვის მათ გარდა ყველანი, დიდიან-პატარიანად ხომ ასეთები ვართ), ყურის საგდებად, როცა ქარავანი სწორი გზით მიდის?**

> **უაზრო ხმაური არ მსურს,**
> **უაზრო დუმილი მიჭირს,**
> **უკეთუ არ გამცემ პასუხს –**
> **შეკითხვის წამართვი ნიჭი.**
>
> **მუხრან მაჭავარიანი**

პრაქტიკანტები ჩამოდიანო(?!)

**მერედა, საინტერესოა რას სწავლობენ?**

**იმას ხომ არა, რომ ახალგაზრდის სადისტურად მკვლელ ძალოვან მაღალჩინოსნებს 7-7 წელი უნდა მიესაჯოთ, ჯაყვით ადამიანის მსუბუქად დამჭრელ არასრულწლოვანს კი – 10 წელი?**

**ან იმას ხომ არა, რომ სამშობლოს ღალატის თუ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობისთვის ეჭვმიტანილს საპროცესო გარიგების საფასურად ათი ათი ლარი განესაზღვროს, მოპარული მობილური ტელეფონის მყიდველ მესამეკურსელს კი – ასი თუ ასორმოცდაათი ათასი დოლარი?**

ჰე, მოსამართლევ, გეშინოდეს, მაღლა ღმერთია,

უსამართლობას არ შეგინდობს კეთილი მწყემსი,

აქლემისა და ნემსის ქურდი თუკი ერთია,

ქრთამად რაღა სულ აქლემს ითხოვ, აილე ნემსი!

**ეს მართლაც დიდი პოეტის შოთა ნიშნიანიძის ლექსია.**

ერთი კია: იგი პირდაპირი მნიშვნელობით სრულად არ შეიძლება დღევანდელ სასამართლოზე გავრცელდეს, **რადგან მექრთამეობა, ადრინდელთან შედარებით, სასამართლოებში მართლაც საოცრად არის შემცირებული,** მაგრამ, რა მგელს შევუჭამივართ და რა – მგლისფერ ტურასო, იმისი არ იყოს, განა **რა არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, მოსამართლის მექრთამეობის გამო გამრუდდება სამართალი, თუ ამ მოსამართლეზე პროკურატურის ან სხვათა ზეწოლის შედეგად?**

ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმაოდ გახმაურებული მაგალითების მოყვანაც შემიძლია, მაგრამ არ არის საჭირო. ერთსლა აღვნიშნავ ჩვენი რედაქციის მწარე გამოცდილებიდან:

**ერთი საჯარო უწყების უკანონო გადაწყვეტილების გამო, რომელმაც სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველწლიურად ასობით ათასი ლარით დააზარალა, ამ ორი წლის წინათ სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ. სასამართლო პროცესი რამდენჯერმე ჩატარდა და გადაიდო, ხან რა მოიმიზეზეს და ხან – რა, აჯანჯალეს განხილვა, ნერვები დაგვაწყვიტეს, ახლახან კი გვითხრეს, ის ნორმატიული აქტი, რომლის უკანონობასაც ასაჩივრებთ, შარშანდელი წლის მიწურულს რომელიღაც კანონის მოთხოვნით გაუქმებულია, ამიტომ თქვენს სარჩელს ვერ განვიხილავთო (?!).**

**მართლაც ბრავო, სრულიად ევროპისთვის სამაგალითო და შესანატრ საქართველოს სასამართლო სისტემას!**

გითხარით, უამრავი მაგალითის მოტანა შემიძლია-მეთქი, მაგრამ ახლა არ არის საჭირო.

ახლა „რიტორიკული" კითხვის დასმის დროა.

ჰოდა, მეც ვსვამ ამ კითხვას:

**ბატონო პრეზიდენტო, ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ, გთხოვთ, მიპასუხოთ, მართლა გულწრფელად გწამთ, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა საათივით მუშაობს და თვით ევროპელთათვის, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის მისაბაძ-შესანატრია?**

**უფრო მეტიც, იგი მართლაც იმდენად კარგია, რომ უკვე ევროპელები ჩამოდიან აქ პრაქტიკის გასავლელად და რაიმეს სასწავლად?**

**თუ მართლა ასეა, ვაი, ევროპულ თემიდას, ხოლო თუ ასე არ არის** (პრეზიდენტისა და ხელისუფლების აზრი ვიცი, თქვენი აზრი მაინტერესებს, მკითხველო!), **მაშინ ვაი ჩვენ, უსაფუძვლოდ მკვეხარებსა და დაიმედებულებს, რადგან იმ უვარგისი კამეჩივით თვითდამშვიდებულნი ვიცოხნებით, ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი რომ ჰგონია!**

**და ბოლო კითხვაც: თუ ევროპელები ჩვენთან მართლა ჩამოდიან საპრაქტიკოდ, რას ამბობენ, გამოგვადგაო მიღებული გამოცდილება?**

**საკითხავი აი, ეს არის, თორემ ჩვენ რომ მუდამ შუშა კიტრივით მოგვწონს თავი, კი ვიცი.**

**რუსლან რუსია**

● სიტინი იმდენად გაცოფებული იყო საქართველოს და ქართველების სიძულვილით, რომ თავბრუ ჰქონდა დახვეული და პროცენტებსა და არითმეტიკულ ციფრებსაც ვერ არჩევდა და ვერ ანსხვავებდა ერთმანეთისგან. ასევე ვერც ქართველების ვინაობაში ერკვეოდა



◎ დოკუმენტები ღაღადებს

# დრო იცვლება, მაგრამ რუსეთი იგივეა მარად და მარად...

## გენერალ სიტინის ველიკოდერჟავული ვნებანი

*როდესაც საბჭოთა კავშირს დაშლის რეალური საფრთხე დაემუქრა, იმის შიშით, რომ არ გამჟღავნებულიყო და გამომზეურებულიყო კრემლის საიდუმლო პოლიტიკა და მოქმედება, ხელისუფლებამ ამოიღო საქართველოს არქივებში დაცული ყველა საიდუმლო დოკუმენტი და მასალა, მაგრამ, საბედნიეროდ, მათი კვალი მაინც ვერ გააქრო თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში (არქივის თანამშრომელმა ნინო გელავამ მათგან ბევრი რამ გამოაქვეყნა 1993 წელს).*

*საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ რსფსრ-ს ხელისუფლების პოლიტიკა და მოქმედების გენერალური გეგმა ასახულია რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის (საელჩოსა) სამხედრო ატაშეს გენერალ პ. სიტინის ხუთ სხვადასხვა საიდუმლო მოხსენებაში (დოკუმენტში) რუსეთის რევოლუციური სამხედრო საბჭოს საველე შტაბისადმი, რომლებიც შედგენილია 1920-1921 წლებში.*

პ. სიტინის პირველი მოხსენება ეხება ქართულ პრესაში სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა დამოკიდებულებას რუსეთისადმი, როგორც მძარცველი და ავაზაკი ქვეყნისადმი, რომელიც ყოველგვარი საფუძვლისა და კანონის გვერდის ავლით ცდილობს დათრგუნოს და დაიპყროს ყოვლად უდანაშაულო მაღალი კულტურის და იდეალების მატარებელი საქართველო.

საქართველოს გამოჩენილი მოღვაწეების მიერ სინამდვილისა და სიმართლის გამოხატვის გამო გაბოროტებული ატაშე საველე შტაბს თხოვდა დაანგარიშებულიყო, თუ რა ვალდებულებით და ვალით იყო საქართველო რუსეთისადმი ვალდებული. მისი ცინიზმი ყოველგვარ ფანტაზიას აღემატებოდა: **„ყოველივე ის, რაც შეიქმნა მიწათმოქმედების, წიაღისეული სიმდიდრეების დამუშავების, ერთი სიტყვით, დღევანდელი საქართველოს დოვლათის დაგროვების სფეროში, მოხდა რუსული გონების, რუსი ხალხის ენერგიის, რუსული კაპიტალის წყალობით. თვით ქართველებს არაფერი შეუქმნიათ“.**



გენერალ სიტინის შემდეგი მოხსენება (წერილი) რუსეთის რევოლუციური სამხედრო საბჭოს საველე შტაბისადმი, ეხება საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობასა და საბჭოთა ჯარების მიერ მისი დაპყრობა-ანექსიის აუცილებლობას. ატაშე აღნიშნავს, რომ **საქართველოს მიმართ რუსეთის წარუმატებლობა დაუშვებელია, რადგან ეს რუსეთის ავტორიტეტსა და პრესტიჟს დასცემს მთელ აღმოსავლეთში და წყალში ჩაიყრება აღმოსავლეთის მიმართულებით რუსეთის მიერ გაღებული ამოდენა მსხვერპლი. საბჭოთა რუსეთმა საქართველო უნდა დაიკავოს ზედმეტი სისხლისღვრის გარეშე, რათა არ მოხდეს საბჭოთა როლის დამახინჯება, როგორც მფარველის და განმანათლებლისა. საქართველოს აკისრია რუსეთისადმი ზნეობრივი და მატერიალური ვალდებულება, რომლის შესრულებასაც გაურბის.**

ამავე მოხსენებიდან ჩანს, რომ რუსეთის საელჩოს თანამშრომლები, სახელდობრ სამხედრო ატაშე-გენერალი პ.სიტინი მზვერავის, ანუ ჯაშუშის საქმიანობასაც ითავსებდა საქართველოში. პ. სიტინს მიაჩნდა, რომ **რუსეთს არ უნდა ეჩქარა საქართველოს სამხედრო ძალით დაპყრობა და მსხვერპლის გამოწვევა, უნდა დაეცადა ორისამი თვე, როდესაც ეს განხორციელდებოდა განსაკუთრებული წინააღმდეგობისა და სისხლისღვრის გარეშე, რადგან, ერთი მხრივ, შიშობდა, რომ ძალით დაპყრობა საერთაშორისო ხმაურს და მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა, მეორე მხრივ, ამას, შესაძლებელია, ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობა მოჰყოლოდა.**

პ. სიტინის მესამე და შემდეგი მოხსენებები რუსეთის რევოლუციური სამხედრო საბჭოს საველე შტაბისადმი, ეხება საქართველოს საშინაო-საგარეო პოლიტიკას და საქართველოს დაყოფა-დაქუცმაცებას ცალკეულ, პატარ-პატარა ნაწილებად.

პ. სიტინი აღნიშნავს, რომ ეს მოხსენება შედგენილია ამიერკავკასიაში სამი წლის მანძილზე ყოფნის დროს პირადი შთაბეჭდილების და მიღებული ცნობების საფუძველზე, კერძოდ: **1ძ** ქ. თბილისში შედგენილი „წითელი წიგნის“; **2ძ** პარიზში სომხეთის მისიის მიერ 1919 წელს გამოცემული „წითელი წიგნის“; **3ძ** ოტომანური მთავრობის მიერ გამოცემული „თეთრი წიგნის“; **4ძ** კავკასიის სამხედრო ოკრუგის შტაბის განსაკუთრებული საარქივო საქმის; **5ძ** ვ.ტ. მაევსკის 1904 წ. „სამხედრო სტატისტიკური აღწერის“; **6ძ** ხ.ფ. ლინგის „სომხეთის“-ტ.2; **7ძ** ი.ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრების“ – 1919 წ; 8ძ „სომხეთ-საქართველოს 1919 წ. ურთიერთობის ისტორიის“ საფუძველზე და სხვ.

პ.სიტინი საქართველოს 1920-1921 წლების ვითარებას და რუსეთისადმი დამოკიდებულებას ახასიათებს, როგორც შოვინისტურს. იმასაც ვერ მალავს, რომ მენშევიკები დიდი გავლენით სარგებლობდნენ მასებში და სხვადასხვა პარტიაში. ის აღნიშნავს, ქართველი მმართველი პარტია მთელი ამიერკავკასიის გაერთიანებას ცდილობსო, ისინი ბაქოს (სადაც წითელი არმია იდგაძ დალაშქვრასაც კი ლამობენო. ერთი სიტყვით, გენერალი სიტინი ქართველებს ყოველ ნაბიჯზე ასმენს, ლანძღავს და „სეპარატიზმში“ ადანაშაულებს. ამასთან აღნიშნავს, ქართველები ანტანტას ეხმიანებიან, განსაკუთრებით ინგლისელებსო. ამასთან დაკავშირებით მის ხელისუფლებას ადანაშაულებს, როგორც საფრანგეთის მისიის რჩევა-დარიგების ყურის დამგდებს. შემდეგ წერს, საფრანგეთმა რვა ჯაშუში გამოაგზავნა საქართველოში, სამი უკვე ბათუმშიაო.

სამხედრო ატაშე ინგლისელებთან და ფრანგებთან ერთად რსფსრ-სადმი მტრობაში ადანაშაულებს იტალიისა და გერმანიის მისიებსაც. ამიტომ რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდებს, რაც შეიძლება მკაცრად მოიქცეს.

გენერალი სიტინი თავის ხელმძღვანელობას აფრთხილებს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველო არის იმპერიალისტური ანტანტის ერთ-ერთი იმედი და დასაყრდენი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მაშინ, თუკი ის შეძლებს თურქეთთან შეთანხმებასო. ამ შემთხვევაში საქართველო განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენსო. ამიტომ სიტინი საველე შტაბს ურჩევდა, წითელი არმიის ძლიერი ნაწილები ჰყოლოდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე თურქეთის მიმართულებით.

გენერალი სიტინი წერს, რომ **ქართული შოვინიზმის როგორც ტერიტორიულად, ისე მატერიალურად შესუსტების მეორე საშუალებად მას მიაჩნდა აფხაზეთის ჩამოშორება. უნდა შევიგნოთ, რომ რუსეთის მხრიდან, ისევე როგორც წინათ სომხურ საკითხში, ყოველთვის დიდი შეცდომა იყო ქურთების იგნორირება... საბჭოთა ხელისუფლებას აქვს ქურთების გადაბირების კარგი შანსი. საქართველოს შემთხვევაშიც ასევე მცირე ყურადღება ეპყრობოდა აფხაზეთს. არავინ არ ზრუნავდა ამ ორი ხალხის ბედზე, რომლებსაც ემუქრებათ აღგვა პირისაგან მიწისა სომეხთა და ქართველთა შოვინიზმის გამო.**

პ. სიტინი იმდენად გაცოფებული იყო საქართველოს და ქართველების სიძულვილით, რომ თავბრუ ჰქონდა დახვეული და პროცენტებსა და არითმეტიკულ ციფრებსაც ვერ არჩევდა და ვერ ანსხვავებდა ერთმანეთისგან. ასევე ვერც ქართველების ვინაობაში ერკვეოდა. აი, რა აბსურდულ რაღაცას წერს: **„თავისი შემადგენლობით აფხაზეთის მოსახლეობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დარჩეს საქართველოს ნაწილად, რადგან სოხუმის ოლქში მოსახლეობის 86 პროცენტი აფხაზია, 50 პროცენტი – მეგრელი, 3,1 – პროცენტი ბერძენი, 2 პროცენტი – რუსი, ერთი პროცენტი – სომეხი და მხოლოდ ერთი პროცენტია ქართველი“.**

საკითხავია, თუ აფხაზეთში აფხაზები (სინამდვილეში – აფსუებიძ 86 პროცენტი იყვნენ, მაშინ მეგრელები რანაირად იყვნენ 50 პროცენტი!? ან თუ მეგრელები აფხაზების მოსახლეობის ნახევარზე მეტი იყვნენ, მაშინ ქართველები როგორ იყვნენ ერთი პროცენტი!? და ა.შ. საერთოდ, ასე აბდაუბდადაა არეული ერთიმეორეში აფხაზეთის რუსული აღწერები, – 1886, 1897 და სხვა წლების აღწერებიც – ზოგი საგანგებოდ, ზოგიც უცოდინარობის და სხვათა გამო, ასევე ქართველების შემადგენლობა, როდესაც ეს უკანასკნელი ევროპის (გერმანიის და სხვ.ძ სწავლულებს ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ჰქონდათ ყოველმხრივ გარკვეული.

ან რა მორალით და სინდისით ლაპარაკობს გენერალი სიტინი ე.წ. აფხაზეთის (სინამდვილეში აფსუებისძ სოხუმის ოკრუგში 86 პროცენტის არსებობაზე და მათი რუსებისადმი მიმხრობაზე, როდესაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (1867 და 1867-1878 წ.წ.ძ რუსეთმა აფსუების გენოციდი განახორციელა თურქეთში მუჰაჯირებად გაძევებით და გაწყვეტით, რის შემდეგაც აფხაზეთში 5 ათასამდე აფსუა თუ დარჩა ადგილზე.

რა თქმა უნდა, სამხედრო ატაშე მარტო აფხაზეთის წართმევით როდი კმაყოფილდებოდა, მას მთელი საქართველო უნდოდა, ოღონდ დაშლილი და დაქუცმაცებული, რათა ის ფეხზე ვერასოდეს დამდგარიყო და რაც შეიძლება მისთვის მალე მოეღო ბოლო რუსებში გათქვეფით: **„აფხაზეთის შემდეგ, ყურადღება უნდა მივაპყროთ სამეგრელოს, ქვეყანას რომელიც ასევე გამოირჩევა ქართველებისგან ენით და ეროვნებით, და ყოველთვის იჩაგრებოდა ქართველთა ბატონობის შედეგად. სამეგრელო უშუალოდ ემიჯნება მდინარე ენგურით აფხაზეთს და სამხრეთისკენ გადაჭიმულია მდინარე რიონამდე... ეს ტერიტორია მდინარე რიონის შესართავით, რომელზეც უკვე კარგა ხანია დაპროექტებულია დიდი ნავსადგურის გაშენება (არხი რკინიგზამდე – ინჟინერი ავრეევიძ, მეტოქეობას გაუწევს ბათუმს. ტერიტორია ძალზე დიდია და სტრატეგიული თვალსაზრისით იგი შეიძლება უშუალოდ დავუქვემდებაროთ რსფსრ-ს გავლენას, თუ მეგრელებს, ისევე როგორც აფხაზებს, ავტონომია“ მიეცემათ.**

ის. 11 გვ.

◎ ინფორმაცია

## ახალი მოსამართლეები

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა ჟურნალისტებს ახლადდანიშნული 10 მოსამართლე წარუდგინა.**

**მოსამართლეების შერჩევა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების, მისი საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ასევე, პროფესიული მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით მოხდა. კონკურსში მონაწილეობას სულ 190 კანდიდატი იღებდა.**




**„190 კანდიდატიდან საუკეთესოთა შერჩევაში აქტიური მონაწილეობის მიღება საზოგადოებასაც შეეძლო. ამჟამად, საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად სულ 10 ახალი მოსამართლე დაინიშნა. ისინი უკვე შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს და დადეს ფიცი პროფესიული მოვალეობის პატიოსნად შესრულების თაობაზე“ – განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## მაინც არ ისვენებენ

**სოფელ ქურთაზე გუშინ განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის პრესსამსახურმა განცხადება გაავრცელა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს იყო პროვოკაცია, რომელიც რეგიონში დაძაბულობის ესკალაციას ისახავს მიზნად და მიმართულია სამშვიდობო პროცესის წინააღმდეგ. „მომხდარმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა რეგიონის სრული დემილიტარიზაციისა და მისი უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისგან გაწმენდის გადაუდებელი აუცილებლობა“, – აღნიშნულია განცხადებაში.**

**11 აპრილს ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის მიერ კონტროლირებადი სოფელ მონასტრის მიმდებარე ტერიტორიიდან უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს სოფელ ქურთას.**

**სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, ინტენსიური სროლა 10 წუთი გრძელდებოდა. დაზიანებულია ქურთის სკოლის შენობა და მიმდებარე სახლები. ქართულ მხარეს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნია.**

ინტერპრესნიუსი

№ 65. პარასკევი, 13 აპრილი, 2007 წელი.

# ეკონომიკა

**უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც გორის რკინიგზის სადგურში სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა. დღეს კი გორელებს, ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი რკინიგზის სადგური აქვთ**



◉ რკინიგზა

## ახალმა სადგურმა გორი დაამშვენა

**როგორც ვიუწყებოდით, გუშინწინ საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში მიხეილ ქარელმა და შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ საზეიმოდ გახსნეს გორის რკინიგზის მოდერნიზებული ახალი სადგური, რომელიც მგზავრთა კომფორტული მომსახურების ყველა პირობას აკმაყოფილებს.**

— ახალი რკინიგზის სადგური და მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესება, უმნიშვნელოვანესი საკითხია რეგიონის განვითარებისთვის, — გვითხრა მიხეილ ქარელმა, — მოსახლეობა კმაყოფილია სასიკეთო ცვლილებებით, უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც გორის რკინიგზის სადგურში სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა. დღეს კი გორელებს, ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი რკინიგზის სადგური აქვთ.

—მაქსიმალურად ვეცადეთ, შეგვენარჩუნებინა ამ ისტორიული შენობის იერსახე. შესაბამისად გავითვალისწინეთ მოსახლეობის ინტერესებიც. ვფიქრობთ, რომ სადგური სრულად დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესება და მათთვის კომფორტული პირობების შექმნა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია რკინიგზისათვის, — განაცხადა შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ.

გორის სადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა შპს „პირამიდა 99“-მა შეასრულა. განახლდა სამი მოსაცდელი დარბაზი, მოეწყო ოთხი ახალი საბილეთო სალარო. შენობის მეორე სართულზე განთავსდა სასტუმრო. რკინიგზის სადგური და დამხმარე ინფრასტრუქტურა სრულად იქნა მოდერნიზებული.

ამ სამუშაოსთვის საქართველოს რკინიგზამ 730 ათასი ლარი გამოყო.

**დავით ელოშვილი**





◉ გადაზიდვები

## საქართველოს გვერდის ავლით დერეფანში ტვირთები იკარგება...

**ნათქვამია, კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი ვერ დამალაო. ეს ჭეშმარიტად მრავლისმეტყველი ფრაზა გამახსენა ბატონ ზურაბ ნოღაიდელის ამასწინანდელმა ვიზიტმა აზერბაიჯანში, როცა მან მისთვის ჩვეული სიდინჯით და დაღლილი გამომეტყველებით განაცხადა: კავკასიის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადის, არა მხოლოდ ყველაზე მოკლე, ყველაზე იაფი და ეფექტიანიც უნდა იყოსო.**

კი ბატონო, რომელი ჭკუათმყოფელი იქნება იმის წინააღმდეგი, რომ ეს დერეფანი იაფიც იყოს და დიდად შემოსავლიანიც ჩვენი ქვეყნისათვის, მაგრამ არის კი? თუ არ არის, ვინ არის ამაში დამნაშავე და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სატრანსპორტო დერეფანი მომგებიანი და ეფექტიანი გახდეს?

**რატომ ამის თაობაზე არაფერი თქვა ბატონმა პრემიერ-მინისტრმა? ჩნდება ეჭვი, რომ ზურაბ ნოღაიდელმა სიმართლის თქმას თავი აარიდა, უფრო სწორად, საზოგადოებას რაღაც დაუმალა.**

კერძოდ, რა დაუმალა? ის რეალობა, რომელიც უკანასკნელ პერიოდში კავკასიის სატრანსპორტო დერეფანში შეიქმნა და **რომელიც ქართულ მხარეს, კერძოდ კი საქართველოს რკინიგზას, ტვირთებს ტვირთებზე აკარგვინებს და მის საქმიანობას სულ უფრო ზარალიანს ხდის.**

რეალობა ასეთია: აზერბაიჯანმა ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში დაიწყო ტვირთების გადაზიდვაზე ტარიფების გაძვირება. ერთი ტონა ნავთობის გადაზიდვის ფასმა მაშინ აქტაუ-ბაქოს მონაკვეთზე 5 დოლარით მოიმატა და ამჟამად მან 30 დოლარს გადააჭარბა. ამან ის გამოიწვია, რომ ნავთობის ტვირთნაკადები საქართველოს მიმართულებით თითქმის განახევრდა. ფაქტს სად გავექცევით, **მარტო გასულ მარტის თვეში საქართველოს რკინიგზამ 200-დან 250 ათასამდე ტონა ტვირთი დაკარგა.**

ამას უკვე ველარ მალავენ ეკონომიკის სამინისტროს სატრანსპორტო პოლიტიკის დეპარტამენტშიც კი და რატომ უნდა მიეჩქმალა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, როცა ტელევიზიით ფართო საზოგადოების გასაგონად განცხადებას აკეთებდა?

მას რატომღაც მოერიდა ეთქვა, რომ, შარშან აზერბაიჯანის მხრიდან სარკინიგზო გადაზიდვებზე ტარიფის მომატების გამო, ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან წამოსული ტვირთების პატრონები უკვე უარს ამბობენ ბაქო-თბილისი-ბათუმის მარშრუტზე და ირანისა და რუსეთის მიმართულებით მიდიან. **ნავთობპროდუქტების ირანისკენ გადამისამართების ფაქტი მხოლოდ მაშინ გახდა ცნობილი, როცა ამის შესახებ ბათუმის ნავთობტერმინალის მფლობელი კომპანიის („გრინოუქი“-ს) ხელმძღვანელმა იან ბონდე ნილსენმა განაცხადა და საქართველოს მთავრობას გამოფხიზლებისკენ მოუწოდა.**

როგორც ნილსენის განცხადებიდან ირკვევა, კავკასიის სატრანსპორტო დერეფანში მონოპოლია ხელთ იგდო აზერბაიჯანულმა სახელმწიფო კომპანია „კასპარმა“, რის გამოც ყაზახური და თურქმენული კომპანიები ნავთობპროდუქტების გადაზიდვას საქართველოს გვერდის ავლით აწარმოებენ. ყაზახურმა ნავთობკომპანია „თენგიზშევროილმა“, მაგალითად, არახელსაყრელი სატრანსპორტო და სატარიფო პირობების გამო, სარკინიგზო გადაზიდვები ოდესის მიმართულებით, რუსეთის ტერიტორიის გავლით დაიწყო, მაშინ როცა ის ადრე აქტაუ-ბაქო-ბათუმის მარშრუტით იგეგმებოდა. ამიტომაც, ბუნებრივია, აზერბაიჯანული სატრანსპორტო მონოპოლიის წყალობით, საქართველომ ტვირთების დიდი მოცულობა დაკარგა.

ზუსტი ციფრების დასახელებაც შეიძლება: **კავკასიის სატრანსპორტო დერეფნის გავლით გადაზიდული ყაზახეთისა და თურქმენეთის ნედლი ნავთობის მოცულობა, რომელიც ადრე თვეში 500 ათას ტონას შეადგენდა, ამჟამად 100 ათას ტონამდე ჩამოვიდა. ისიც ცნობილი გახდა, რომ აზერბაიჯანი სარკინიგზო ტვირთების გადაზიდვის ტარიფის გაზრდას კიდევ 1,5 დოლარით აპირებს.**

იცის, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მშვენივრად იცის ჩვენმა ხელისუფლებამ, მაგრამ რატომღაც მუნჯის პოზაში ყოფნას ამჯობინებს. მას როგორღაც საკუთარი ქვეყნის მიწა-წყლის (და არა მარტო მიწა-წყლის) გაყიდვა უფრო ეხერხება, ვიდრე მეზობელ ქვეყანასთან სამართლიან კონკურენტულ პირობებში მუშაობა, უფრო სწორად, ასეთი პირობების მოთხოვნა.

რომელ მიწა-წყალზეაო საუბარი, ვიცი, გაიკვირვებენ ჩვენი ხელისუფალნი. ასე უცებ დაგავიწყდათ, ბატონებო? კეთილი და პატიოსანი, შეგახსენებთ. **ყულევის ნავთობტერმინალი რომ აზერბაიჯანს „დაუთმეთ“, განა არ შეგეძლოთ, სამაგიერო ტერმინალი ბაქოში მოგეთხოვათ?**

ნეტა სხვისა რაში გვჭირდება, როცა საკუთარი სიმდიდრისთვისაც ვერ მოგვივლიაო. არა, ასე ლიად არ ამბობენ ქვეყნის თავკაცები, მაგრამ თავიანთი „ნაღვაწით“ ამას კი გვაფიქრებინებენ.

ამ წერილით სულაც არ მინდა ვთქვა, რომ აზერბაიჯანის სახით ურიგო მეზობელი გვყავს. აბა, ცუდის სათქმელად ენა როგორ მოგიტრიალდება იმ მეზობელზე, რომელმაც გაჭირვების ჟამს ხელი არაერთგზის გაგვიმართა, მაგრამ თუ დაჩაგვრა მოგიწადინა და სატრანსპორტო დერეფანში შენი კუთვნილი ადგილი წაგართვა, ხმა ხომ უნდა ამოიღო?

**ესეც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ხომ არ არის, რომ ის ალბანური კულტურის ძეგლად, ხოლო თავი მის სამართალმემკვიდრედ წარმოადგინო?** გოკა გაბაშვილი უნდა იყო, რომ ეს დაიჯერო (თურმე ქართველებს მონასტრების ასაგებად საკუთარი მიწა არ ეყოთ და ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე გადავიდნენ) და დავით გარეჯი თავისუფალ ტურისტულ ზონად გამოაცხადო (?!).

ვფიქრობ, გაჩუმება და პირში წყლის ჩაგუბება იმ მოტივით, რომ აზერბაიჯანმა ბევრჯერ სიკეთე გაგვიკეთა, არც სამართალს წაადგება და არც ჩვენს მეზობლურ ურთიერთობას. ხომ გაგიგიათ, ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევ ძმებად დარჩნენო.

ვერც ჩვენ მოვიქცევით სხვაგვარად. **აზერბაიჯანისგან სასწრაფოდ უნდა მოვითხოვოთ გადაზიდვის ტარიფების შემცირება, რათა სატრანსპორტო დერეფანში სამართლიანობა და კონკურენტუნარიანობა აღსდგეს.**

**ოთარ ხუციშვილი**

# მსოფლიო ლიტერატურა

● ცხოვრება მხოლოდ იმის შეგნებაშია, რომ ჩვენს ყოველდღიურობაში სოლომონობაც შეგვიძლია, სიბრძნის თვალსაზრისით, და ალექსანდრე მაკედონელობაც, ძლევამოსილების თვალსაზრისით. ოღონდ ამას მაშინ ვიგებთ, როცა სხვას ვისმე უნდა ვასწავლოთ და ისეთ სახიფათო მოგზაურობას შევუდგებით ხოლმე, როგორიც მე და შენ ეს-ეს არის დავასრულეთ



## ◎ ჩვენი ბიბლიოთეკა

— თუ საიდუმლოს ამოიცნობ და მახვილს იპოვი, მაშასადამე, RAM ხატსაც აღმოაჩენ და ძალთაძალსაც დაეუფლები. ოღონდ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის: მთელი სიბრძნის მისაღწევად სხვა სამი გზის გავლა მოგიწევს, ერთ-ერთი იქნება იდუმალი გზა, რომელზედაც ამ გზაზე უკვე გავლილი კაციც ვერ გაგიყვანს. ამას იმიტომ გეუბნები, რომ ჩვენ ახლა ერთხელღა შევხვდებით.

გული შემეკუმშა, და ჩემდა უნებურად გავახილე თვალები. პეტრუსს შუქი ეფინა, რომელი შუქიც ადრე მხოლოდ მოძღვრისგან მოდიოდა.

— დახუჭე თვალები! — და თქმისთანავე დავემორჩილე.

მაგრამ გული ჩემი აღარ იყო, და ველარც გულისყურს ვიკრებდი. ჩემი თანამგზავრი კვლავ იტალიურად ამღერდა, და მოვახერხე მოდუნება, ოღონდ ერთბაშად ვერა.

— ხვალ ბარათს რასმე მიიღებ, და იქ ეწერება, სადაც ვიქნები. ეს იქნება ნადური, ანუ კოლექტიური ინიციაციის ცერემონია, ცერემონია, რომელიც იმართება ტრადიციის პატივისცემის ნიშნად. იმ მამათა და დედათა პატივისცემის ნიშნად, რომელთაც მთელი ამ ასწლეულების სიგრძეზე სიბრძნის, სამართლიანი ომისა და აგაპეს ცეცხლი არ ჩაუქრიათ. შენ შეგიძლია, რომ არც დამელაპარაკო. შეკრების ადგილი წმინდაა და იმ რაინდთა სისხლით არის შეღებილი, ტრადიციის გზით რომ იარეს და თავიანთი ფხაასხმული მახვილებითაც კი ვერ გააპეს წყვდიადი. რაც იმათ მსხვერპლი გაიღეს, ამაო არ ყოფილა, რის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთიც ის არის, რომ ამდენი საუკუნის შემდგომ სულ სხვადასხვა გზით ნავალი ადამიანები მოვლენ, რათა კეთილად მოიხსენიონ ისინი. ეს ფრიად მნიშვნელოვანია და, მოძღვარიც რომ გახდე, არცროდის არ უნდა იგულმავიწყო ერთი რამ: შენი გზა მრავალთაგან ოდენ ერთია, რომელსაც ყოველთა დამბადებელთან მიჰყავხარ. იესომ როგორღაც თქვა: „მამაჩემის სახლში ბევრი სავანეაო", ხოლო მან უწყოდა, რასაც უბნობდა.

და პეტრუსმა ერთხელ კიდევ გამიმეორა, ხვალ უკანასკნელად შევხვდებითო.

— დადგება დღე, და ჩემგან ნაბარათევი მოგივა, სადაც ჩემი თხოვნა იქნება შენდამი, რომ შენც ვიღაცას ისევე გაუწიო მეგზურობა სანტიაგოს გზაზე, როგორც მე გიწევდი. და აი სწორედ მაშინ მიხვდები ამ მოგზაურობის დიდ საიდუმლოს, საიდუმლოს, რომელსაც ახლა გაგიმხელ, ოღონდ მარტო სიტყვიერად. ამ საიდუმლოს ისე ვერ გაიგებ, თუ თავად არ იგრძენი, თავად არ განიცადე.

პეტრუსი დადუმდა. პაუზა იმდენი ხანი გაგრძელდა, რომ ვიფიქრე, ან ლაპარაკი გადაიფიქრა, ანდა საერთოდ დეპოდან გავიდა-მეთქი. ძალიან მინდოდა თვალების გახელა და გაგება, რა ხდებოდა, მაგრამ ნებისყოფა დავძაბე და მთელი გულისყური RAM სიოს ქიქინზე გადავიტანე.

— ეს საიდუმლო იმაში მდგომარეობს, — გაისმა ბოლოსა და ბოლოს პეტრუსის ხმა, — რომ რისამე სწავლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა სხვას ასწავლი. ჩვენ ერთად გამოვიარეთ სანტიაგოს გზა და სანამ შენ RAM რიტუალთ სწავლობდი, მე ამ რიტუალთა იდუმალ აზრს ვწვდებოდი. შენი სწავლებით მე თავად ვსწავლობდი. მე შენი ეტიკი ვიყავი და ამიტომაც შევძელი ჩემი საკუთარი გზის პოვნა.

---

გაგრძელება. დასაწყისი

იხ. „სრ" № 32-43, 45-64.

უკეთუ მოახერხებ და შენს მახვილს მიაკვლევ, მაშინ სხვასაც უნდა ასწავლო ამ გზის დიდი სიბრძნე. და მხოლოდ როცა ეს მოხდება და სხვის მოძღვრობას იკისრებ, მაშინღა შეიძლებ სუყველა კითხვაზე შენს სულში სუყველა პასუხის წაკითხვას. ისე, მართალი თუ გინდა, ყველამ ყველაფერი ჯერ კიდევ მანამდე ვიცით, სანამ ვინმე ამაზე სიტყვას ჩამოგვიგდებდეს. ცხოვრება მხოლოდ იმის შეგნებაშია, რომ ჩვენს ყოველდღიურობაში სოლომონობაც შეგვიძლია, სიბრძნის თვალსაზრისით, და ალექსანდრე მაკედონელობაც, ძლევამოსილების თვალსაზრისით. ოღონდ ამას მაშინ ვიგებთ, როცა სხვას ვისმე უნდა ვასწავლოთ და ისეთ სახიფათო მოგზაურობას შევუდგებით ხოლმე, როგორიც მე და შენ ეს-ეს არის დავასრულეთ.

ჩემს ცხოვრებაში ჯერ არ მახსოვს ესოდენ მოულოდნელი დამშვიდობება. ვისთანაც კი ასეთი ახლო ურთიერთობა დამიმყარებია, ვისზედაც კი მიფიქრია, მიზნამდე ერთად მივალთ-მეთქი, თვალებდახუჭული შუა გზაზე დავუგდივარ მანქანის ზეთის სუნით გაჟღენთილ ამ სარკინიგზო ჩიხში.

— მე არ მიყვარს თქმა, მშვიდობით-მეთქი, — განაგრძობდა პეტრუსი, — ვინაიდან მგრძნობიარე ვარ, როგორც სუყველა იტალიელი. წესისა და რიგის მიხედვით შენი მახვილი მარტომ უნდა იპოვო, რადგან მხოლოდ აგრერიგად ირწმუნებ შენს ძლიერებას. მე რაც უნდა გადმომეცა, ყველაფერი გადმოგეცი. ერთი მარტო ცეკვის სავარჯიშოღაა დარჩენილი, რომელსაც ახლა შეგასწავლი, რათა ხვალ ცერემონიაზე შეასრულო.

მცირე ხანს გაჩუმდა და დასძინა:

— დაე, რაც სადიდებელია, ყველაფერი იდიდოს უფალში. ახლა უკვე შეგიძლია თვალების გახელა.

პეტრუსი თბომავლის ბუფერზე იჯდა. არც არაფრის თქმა არა მსურდა, ვინაიდან მეც მგრძნობიარე ვიყავი — როგორც სუყველა ბრაზილიელი. სინდიყის ნათურა, რომელიც გვანათებდა, აციმციმდა, და სადღაც შორს საყვირის ხმა გაისმა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ მატარებელი მალე შემოვიდოდა.

მაშინ პეტრუსმა „ცეკვის" სავარჯიშო მიჩვენა.

### *„ცეკვის" სავარჯიშო*

*მოდუნდით. თვალები დახუჭეთ.*

*ეცადეთ, როგორმე გაიხსენოთ ის მელოდია, სიცოცხლეში პირველად რომ გაიგონეთ. თქვენთვის წაიღიღინეთ, თანაც ნელინელ თქვენი სხეულის რომელიმე ნაწილი: ფეხი, ხელი, თავი, მუცელი და ა.შ. ააყოლეთ ამ მელოდიის ტაქტს.*

*ხუთ წუთში ღიღინი შეწყვიტეთ და ყური მიუგდეთ იმ ხმაურს, თქვენ გარშემო რომ ისმის. მერე ისეთი რამ ღონე უნდა იღონოთ, რომ ის ხმაური რაღაც მელოდიად იქცეს, და თქვენც ცეკვით აჰყევით, ოღონდ უკვე მთელი სხეულით. არც არაფერზე არ იფიქროთ, მაგრამ თავში სპონტანურად რა სახეებიც გაგიჩნდებათ, ეცადეთ, რომ გაიხსენოთ ისინი.*

*ცეკვა უსასრულო გონთან ურთიერთობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.*

*სავარჯიშოს ხანგრძლივობა თხუთმეტი წუთია.*

— და კიდევ ერთ რასმე გეტყვი, — თითქოს ჩემი თვალების სიღრმეში რისღაც წაკითხვა სურდა, ისე დასძინა მან. — ჩემი პირველი ლოცვადმავლობის დამთავრებისთანავე უზარმაზარი სურათი დავხატე, სადაც სუყველაფერი ავსახე, რაც კი რამ აქ გადამხდა. ეს ჩვეულებრივ ადამიანთა გზაა, და თუკი მოინდომებ, შენც იმისვე ქმნა შეგიძლია. ფუნჯის ხელი თუ არ იცი, მოთხრობა დაწერე ანდა სულაც ბალეტისთვის შეთხზე მუსიკა, და მაშინ ადამიანები — მნიშვნელობა არა აქვს, სად იმყოფებიან ისინი — შეძლებენ წმინდა იაკობის გზის, ირმის ნახტომის, სანტიაგოს უჩვეულო გზის გავლას.

მატარებელიც გამოჩნდა. პეტრუსმა განშორებისას ხელი დამიქნია და ლიანდაგებზე ჩამომდგარ ვაგონებს შორის გაქრა. მე კი ისევ ისე ვიჯექი, ყურს ვუგდებდი რკინის ლიანდაგებზე მოდაგადუგე ბორბლების ხმაურს და ვცდილობდი ირმის ნახტომის საიდუმლოს ჩაწვდომას, რომელი ნახტომის ვარსკვლავთაც მომიყვანეს აქ, მდუმარედ ადევნებულთ სიმარტოვეს — უცვლელ და საყოველთაო კაცობრიულ ხვედრს.




ბარათში, რომელიც მეორე დილით აღმოვაჩინე, მხოლოდ ეს ეწერა: „საღამოს 7. ტამპლიერთა კოშკი".

მთელი დარჩენილი დღე ქალაქში ვიხეტიალე, სამჯერ მაინც გავიარ-გამოვიარე ყურითყურ, ანუ კიდით კიდემდე, და თვალი სულ იქით გამირბოდა, შორს რომ კოშკი ჩანდა, სადაც საღამოთი უნდა ვყოფილიყავი. ტამპლიერთა, ანუ ტაძრის რაინდთა ორდენი, მუდამ ძლიერად მიფორიაქებდა წარმოსახვას, ხოლო პონფერადაში მდებარე კოშკი აქ, სანტიაგოს გზაზე, იმათი ყოფნის ერთადერთი კვალი არ იყო. იმ ცხრა რაინდის ნებით შექმნილმა ორდენმა, რომელთაც გადაწყვიტეს, რომ თავიანთი ჯვაროსნული ლაშქრობანი არ შეეწყვიტათ, საკმაოდ მალე გაავრცელა თავისი ზეგავლენა მთელ ევროპაზე და ჩვენი ათასწლეულის დასაწყისში ნამდვილი გადატრიალება მოახდინა წეს-ჩვეულებებსა და ზნეობაში. იმ დროს, როცა იმჟამინდელი ფეოდალური ზეპური საზოგადობის მნიშვნელოვანი ნაწილი თავის მოხარკეთა და ყმათა ხარჯზე მარტოოდენ გამდიდრებაზე ოცნებობდა, ტაძრის რაინდნი თავიანთ სიცოცხლეს, თავიანთ სარჩო-საბადებელსა და თავიანთ სამხედრო სიქველეს ერთ საქმეს ახმარდნენ — იერუსალიმში მიმავალ გზაზე შემდგარ ლოცვადმავალთ იცავდნენ და ამაში ცდილობდნენ სულიერების იდეალის მოპოვებას, რომელი იდეალიც სიბრძნის ძიებაში უნდა შესწეოდათ.

1118 წელს ჰუგო დე პაინმა თავის რვა ამხანაგთან ერთად ერთ-ერთი ნაოხარი კოშკის ეზოში კაცობრიობის მიმართ სიყვარულის ფიცი დადო. ორი საუკუნის შემდგომ დედამიწის სუყველა კუთხეში უკვე ხუთასზე მეტი სავანე იყო, რომელთაც იმის გაერთიანება შეძლეს, რაც ადრე შეუთავსებელი ჩანდა — სამხედრო სამსახური და რელიგიური მსახურება გააერთიანეს. ორდენის წევრთა კეთილმოქმედებისა და ათასობით ლოცვადმავლის შეწირულობათა წყალობით ორდენი ძალიან მალე ზღაპრულად გამდიდრდა, თანაც კიდევ მრავალგზის ფულით უმართავდა ხელს მუსულმანთაგან გაძარცულ ქრისტიანთ. იმდენად თვალადსაჩენი და უზადო იყო ტაძრის რაინდთა პატიოსნება, რომ მეფენი და წარჩინებულნი თავიანთ განძეულთ იმათ ანახვინებდნენ, ხოლო შორეული მოგზაურობისას თან საბუთი მიჰქონდათ, როგორც ამ თავიანთი ქონების მოწმობა, რომლის გადაცვლაც ლითონის ფულზე ყველგან შეიძლებოდა, სადაც კი მეტაძრეთა სავანე შეხვდებოდათ. აგრე გაჩნდა თამასუქი, დღესაც რომ ვიყენებთ.

ხოლო ღვთისმოსაობამ თავის მხრივ ხელი შეუწყო ტამპლიერთ იმ დიდი ჭეშმარიტების შეგნებაში, რომელ ჭეშმარიტებასაც წუხელ პეტრუსი ჩამჩიჩინებდა: „მამაჩემის სახლში ბევრი სავანეაო". ისინი რელიგიური შუღლისთვის ბოლოს მოღებასა და ერთღმერთობის პრინციპზე დამყარებული სამი უმნიშვნელოვანესი რჯულმოძღვრების — ისლამის, იუდაიზმისა და ქრისტიანობის გაერთიანებას ცდილობდნენ. და თავიანთ საჟამნო-ეგვტერთ მრგვალგუმბათიანთ აგებდნენ, სოლომონ მეფის ტაძარს რომ აგვირგვინებდა, იმნაირგუმბათიანთ, მუსულმანური მეჩეთების რვაკუთხიან კედლებიანთ და ქრისტიანული ტაძრებისთვის დამახასიათებელ ნავებიანთ.

თუმცაღა მალე ტამპლიერთ, როგორც ყოველივეს, რაც თავის დროს ცოტათი უსწრებს, ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა. მონარქთ შეშურდათ ტამპლიერთა სიმდიდრეც და ეკონომიკური სიძლიერეც, ხოლო კათოლიკური ეკლესია ამ ტაძრის რაინდთა რელიგიურმა გულახდილობამ შეაშფოთა. და 1307 წლის 13 ოქტომბრის პარასკევს ვატიკანმა და ძირითადმა ევროპულმა ქვეყნებმა შუა საუკუნეების ერთ-ერთი გრანდიოზული პოლიციური ოპერაცია განახორციელეს — ღამით ორდენის პირველი პირები დაიჭირეს და ციხეში ჩაყარეს. სუყველას ერთპირ ბრალად დასდეს, რომ სატანას ეთაყვანებოდნენ, ცილსა სწამებდნენ იესო ქრისტეს, ეწეოდნენ შავ ღვთისმსახურებას, რასაც თან სდევდა თავაშვებული ღრეობა, და სჩადიოდნენ სოდომურ ცოდვას. ამას მოჰყვა შესმენილთა გაუგონარი ტანჯვაწამება, განკვეთა, სხვა ათასგვარი სიმუხთლე, და შედეგად ტაძრის ორდენი სულ ამოიშალა შუა საუკუნეების მატიანიდან. ორდენის განძეული ხელისუფალთ მიითვისეს, გადარჩენილნი რაინდნი აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, ხოლო ორდენის უკანასკნელი მეთაური ჟაკ დე მოლე ცოცხლად დაწვეს პარიზის მოედანზე. სიკვდილით დასჯის წინ რაინდს უთხოვია, პირი ნოტრ-დამის ტაძრის სამრეკლოთა მხარეს მაქნევინეთო.

ესპანეთმა კი, რომელიც სწორედ ამ დროს ბრძოლას — რეკონკისტას — ეწეოდა მავრთა წინააღმდეგ იბერიის ნახევარკუნძულის დასაბრუნებლად, შესაძლებლად მიიჩნია მთელი ევროპიდან აქ თავმოყრილ ტამპლიერთა შეკედლება. და მალე ტაძრის რაინდნი სხვა ესპანურ რაინდულ ორდენებში გაერთიანდნენ. ამ ორდენთა შორის სანტიაგოს ორდენი ლოცვადმავალთა უსაფრთხოებაზე აგებდა პასუხს.

აი რა აზრები მიტრიალებდა თავში, როცა ზუსტად საღამოს შვიდზე ტაძრის ძველი კოშკის მთავარ ჭიშკარში შევედი, რომელ კოშკშიც შეხვედრა მქონდა დანიშნული.

არავინ არა ჩანდა. ნახევარი საათი ვიყურყუტე, სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი, სანამ არ გადავწყვიტე, რომ ნამდვილად დრო ამერია — ცერემონია დილის შვიდისთვის, ანუ ხვალისთვის ყოფილა-მეთქი დანიშნული. მაგრამ ის იყო წასვლა დავაპირე, რომ ორი მავანი ჭაბუკი გამოჩნდა, ხელთ ერთსაც ჰოლანდიური დროშა ეჭირა, მეორესაც, ხოლო სამოსელზე ნიჟარები — სანტიაგოს გზის სიმბოლოები ჰქონდათ ამოქარგული. ისინი მომეახლოვნენ, დავილაპარაკეთ და მივხვდით, რომ ერთსა და იმავე ამბავს ვუცდიდით. შვებით ამოვისუნთქე, რაზან დავრწმუნდი, არც არაფერი არ ამრევია-მეთქი.

ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ მოდიოდა ახალი სტუმარი — ჯერეთ ავსტრალიელი მოვიდა, მერე ხუთი ესპანელი, კიდევ ერთი ჰოლანდიელი. თუ ცერემონიის დროის თაობაზე რამდენიმე ურთიერთშეკითხვას არ ჩავთვლით, — თურმე მარტო მე არ მაწუხებდა ეჭვი, — ერთმანეთში საუბარი არ გაგვიბამს. ყველანი ერთად დავსხედით ნახევრად მიმონგრეულ პატარა ეზოში, სადაც ადრე საზორაგე ჰქონოდათ, და დაცდა გადავწყვიტეთ, ვნახოთ, შემდგომ რა მოხდებაო. ფეხი არცვის არ უნდა მოგვეცვალა თუნდაც კიდევ მთელი ერთი დღე და მთელი ერთი ღამე გვეცადა.

მაგრამ რამდენადაც მოლოდინი კარგა ხანს გაგრძელდა, ლაპარაკი მაინც ჩამოვარდა იმის თაობაზე, თუ ვინ რა მიზეზით ვიყავით აქ მოსული. აი მაშინ შევიტყვე, რომ სანტიაგოს გზას ბევრი ორდენი იყენებდა, უმეტესად ტრადიციასთან დაკავშირებული. აქ მოგროვილ ხალხს გამოვლილი ჰქონდა ინიციაციათა მრავალი გამოცდისა და წეს-ჩვეულების დარჯაკი, რასაც მე ძალიან დიდი ხნის წინათ გავეცანი ბრაზილიაში. ასე რომ პირველი გზის უმაღლეს ხარისხს მხოლოდ მე და ავსტრალიელი ვეძიებდით. ის წვრილმანებს არ იყო გამოდევნებული, მაგრამ მივხვდი, რომ იმისი რიტუალები ძალიან განსხვავდებოდნენ RAM ორდენის რიტუალთაგან.

და დაახლოებით 8:45 რომ გახდა, როცა ბოლოსა და ბოლოს თავი მოვიყარეთ, რათა თითოეულ ჩვენგანის ცხოვრებაზე გვესაუბრა, გონგსაც დაჰკრეს. ხმა კოშკის ყოფილი საჟამნოდან მოისმა და ჩვენც ყველანი იქით გავეშურენით.

თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

# დისკუსია

● ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელმაც უარყო ეროვნულ საბჭოსთან თანამშრომლობა და, პირიქით, დაუპირისპირდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებს — ქართველი ბოლშევიკები იყვნენ



## ◎ რა გზა გამოვიარეთ

# რაციონალური არჩევანი

*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე მიმდინარე დისკუსია მეტად სასარგებლოდ მიგვაჩნია. საქართველოს ისტორიის ის მონაკვეთი, რომლის გაშუქებასაც დისკუსია ისახავს მიზნად, ჯერჯერობით პრაქტიკულად მეცნიერულად შეუსწავლელია. ყურადღებით გავეცანი დისკუსიის დაწყებიდან გამოქვეყნებულ მასალებს, მათ შორის პროფ. ვახტანგ გურულის, ბელგიის მოქალაქის ომარ ხახაშვილის, პროფ. შოთა ვადაჭკორიას, პროფ. ტარიელ ფუტკარაძის წერილებს. ვფიქრობთ, ავტორები ბევრ საკითხს მართებული პოზიციიდან განიხილავენ და აფასებენ. ცხადია, შესასწავლი და ობიექტურად შესაფასებელიც ჯერ კიდევ ბევრია. ჩვენი წერილი უკანასკნელი ოცწლეულის ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის ერთ-ერთ ეპიზოდს ეხება.*

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი დამსახურება იყო, რომ მან სამართლებრივ ბრძოლაში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებასთან. თავდაპირველად სამართლებრივი მიმართულებით ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები ძირითადად ერთად იბრძოდნენ. სწორედ მათი ზეწოლის შედეგად საქართველოს საბჭოურმა ხელისუფლებამ არაერთი, ფაქტობრივად, ანტიიმპერიული დადგენილება მიიღო. გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი:

1990 წლის 9 მარტს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება — „საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“. მან აღიარა, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით — ფაქტობრივ ანექსიას. მანვე დაგმო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსია როგორც საერთაშორისო დანაშაული. ამავე დადგენილებამ უკანონოდ გამოაცხადა ძალდატანებით გასაბჭოებულ საქართველოსა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დადებული ფიქტიური ვითომ „სამოკავშირეო“ ხელშეკრულება (1921 წლის 21 მაისის). ბათილად იქნა მიჩნეული 1922 წლის 12 მარტის „სამოკავშირეო ხელშეკრულება“ ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ, რომელშიც გასაბჭოებული საქართველო იძულებით შეიყვანეს.

რაც მთავარია, უზენაესი საბჭოს 9 მარტის დადგენილებამ „არაკანონიერად“ გამოაცხადა 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის შესახებ — საქართველოს მიმართ. ე.ი. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ უკანონოდ ცნო საკუთარი ქვეყნის გაერთიანების ფაქტი იმ სახელმწიფოში, რომელშიც იყო გაერთიანებული 1922 წლიდან — საბჭოთა კავშირში. გამოდიოდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას აწარმოებდა საბჭოთა სტრუქტურებისა და ყალბი ინსტიტუციონალური დოგმების თანდათანობითი ლიკვიდაციის გზით. ძირითადად ეს პროცესი 1989-1990 წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ პერიოდის მანძილზე, კერძოდ, 1990 წლის გაზაფხულამდე, საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა ერთიანობას ინარჩუნებდა.

თავდაპირველად პატრიოტული ორგანიზაციები ეროვნული ხსნის კომიტეტში იყვნენ გაერთიანებულნი. 1990 წლის 13-15 მარტს მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციაზე შეიქმნა ეროვნული ფორუმი. მისი უმთავრესი მიზანი იყო პატრიოტულ-პოლიტიკური ძალების, განსაკუთრებით რადიკალური ორგანიზაციების, გაერთიანება. მას უნდა შეესრულებინა ეროვნული მოძრაობის მაკოორდინებელი ცენტრის ფუნქცია.

ამ მხრივ ეროვნულ ფორუმს 1917 წლის ნოემბერში შექმნილი — საქართველოს ეროვნული საბჭოს ანალოგიური მისია უნდა ეკისრა, როგორც ცნობილია, ეროვნულ საბჭოში გაერთიანდნენ იმჟამინდელ საქართველოში მოქმედი წამყვანი პოლიტიკური პარტიები: სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სხვა ეროვნულ-პოლიტიკური ძალები. საბჭომ უნარიანად და ენერგიულად უხელმძღვანელა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას და, რაც მთავარია, ბოლომდე შეინარჩუნა ქართული პოლიტიკური სპექტრის ერთიანობა. ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელმაც უარყო ეროვნულ საბჭოსთან თანამშრომლობა და, პირიქით, დაუპირისპირდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებს — ქართველი ბოლშევიკები იყვნენ.

დაახლოებით ეროვნული საბჭოს მსგავსი ფუნქცია უნდა შეესრულებინა 1990 წლის 15 მარტს შექმნილ ეროვნულ ფორუმს. თავდაპირველად თითქოს იყო კიდეც საამისო ნიშნები.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციაზე შექმნილ ეროვნულ ფორუმში გაერთიანდნენ იმ პერიოდში მოქმედი რადიკალური მიმართულების ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია; ჰელსინკის კავშირი; წმინდა ილია მართლის საზოგადოება; მონარქისტული პარტია; ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; დემოკრატიული პარტია; წმინდა ქეთევან წამებულის საზოგადოება; ეროვნულ-სოციალური პარტია; მერაბ კოსტავას საზოგადოება; თეთრი გიორგის კავშირი; ქართველ შევარდენთა ლეგიონი; სახელმწიფოებრივი აღდგენის პარტია; დამოუკიდებლობის ორგანიზაცია და სხვ.

მაგრამ ეროვნულმა ფორუმმა ვერ შეძლო და არც შეეძლო შეესრულებინა ეროვნულ-პოლიტიკური ძალების ხელმძღვანელი და მაკოორდინებელი ცენტრის ფუნქცია. ეს მოხდა იმიტომ, რომ ფორუმი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხოლოდ რადიკალურ ნაწილს წარმოადგენდა და, მეორეც, იმიტომ, რომ თვით ამ რადიკალურ ნაწილშიც არ იყო ერთიანობა. ფორუმის შექმნა მხოლოდ დროებით და ეპიზოდურ შეთანხმებას წარმოადგენდა ძირითადად ორ რადიკალურ მიმართულებას შორის. პირობითად ამ ორ ძირითად მიმართულებას, როგორც შემდგომში ცხადი გახდა — ერთნი წარმოადგენდნენ შეურიგებელ რადიკალებს, ხოლო მეორენი — ზომიერ, რეალისტ რადიკალებს.

უკვე 1990 წლის 27 მარტს ეროვნული ფორუმის მესამე სხდომამ მიიღო დადგენილება, რომელიც დაფიქსირდა ე.წ. შეურიგებელი რადიკალური პარტიების მაქსიმალისტური პოზიცია. იგი სრულიად არ ითვალისწინებდა მაშინდელი საერთაშორისო და საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე არსებულ პოლიტიკურ რეალიებს. განვმარტოთ და განვიხილოთ, რადგან სწორედ ეროვნული ფორუმის მიერ მიღებულ პოლიტიკურ პლატფორმაში ძევს ის იდეური ბირთვი, რომელმაც შემდგომში რადიკალური მოძრაობა ორ ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკად გაყო.

ეროვნულმა ფორუმმა საქართველოს მოსახლეობისა და ქართველი ერის ერთადერთ უფლებამოსილ იურიდიულ პირად და ორგანოდ „საერთაშორისო სამართლის დონეზე“ გამოაცხადა მომავალ მრავალპარტიულ არჩევნებში არჩეული „საქართველოს ოპოზიციური ხელმძღვანელობა და მმართველობა“, რომელსაც უნდა სწოდებოდა „ეროვნული კონგრესი“.

ფორუმის 27 მარტის დადგენილების მეექვსე მუხლი იუწყებოდა: „ეროვნული კონგრესის პოლიტიკური პლატფორმა და ორიენტაცია ემყარება საქართველოს შეურიგებელი და რადიკალური, დემოკრატიული ოპოზიციის სტრატეგიას, რაც ნიშნავს, რომ ეროვნული კონგრესის ყველა წარმომადგენელი უნდა უარყოფდეს ამ სტრუქტურებში, მექანიზმებსა და სისტემაში მონაწილეობას, რომელიც დამკვიდრებულ იქნა საქართველოში საბჭოთა ბოლშევიკური რუსეთის მიერ თავისუფალი და დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ 1921 წელს განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის შემდგომ“ (გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990 წ. 31 მარტი).

მაშ, ეროვნულმა ფორუმმა სრულიად უარყო საბჭოთა სტრუქტურებთან თანამშრომლობის, მათში მონაწილეობის კურსი და აშკარად დაუპირისპირდა კიდეც. პირველ რიგში ეს ნიშნავდა, რომ ეროვნულმა ფორუმმა უარყო საბჭოთა უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისა და მასში გამარჯვებით — ანუ საბჭოთა სტრუქტურების გამოყენებით ხელისუფლების სათავეში მოსვლის გზა. დადგენილებას მხარი დაუჭირა ეროვნული ფორუმის ყველა მონაწილე პოლიტიკურმა ორგანიზაციამ და პარტიამ. რადიკალურმა მოძრაობამ ბრძოლის არარეალისტური და თითქმის განუხორციელებელი მიზანი დაისახა.

პერსპექტივას კიდევ უფრო არარეალისტურს ხდიდა იმავე დადგენილების მეშვიდე მუხლის „გ“ პუნქტი, რომელიც თითქოს დედამიწის ზურგზე ყველას ემუქრებოდა და აფრთხილებდა: „იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო სამართალი საქართველოს ეროვნულ კონგრესს არ აღიარებს საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველ ოფიციალურ იურიდიულ პირად და არ ცნობს კანონიერად, ეროვნული კონგრესი სრულიად საქართველოს მასშტაბით გამოაცხადებს საყოველთაო, ეროვნულ დაუმორჩილებლობას და ქართველ ერს მოუწოდებს ტოტალური შეუიარაღებული წინააღმდეგობისაკენ“ (იქვე).

შესაძლოა არაფერი ითქვას, რამდენად რეალისტური ან პირიქით — ირაციონალური სტრატეგია აირჩია საქართველოს ეროვნულ-რადიკალურმა მოძრაობამ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: იმ დროს საბჭოთა სივრცეში დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რესპუბლიკათა შორის არსებობდა მეორე სტრატეგიული არჩევანი — ბრძოლის ე.წ. „ლიტვური გზა“.

ეს გახლდათ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საპარლამენტო გზა, რომელიც ემყარებოდა საბჭოთა არჩევნებში გამარჯვების სტრატეგიას. ქართველი რადიკალები მონდომებით აკრიტიკებდნენ „ლიტვურ გზას“, მაგრამ ბალტიის სამივე რესპუბლიკამ სწორედ ამ მეთოდით მიაღწია სასურველ მიზანს. ლოგიკურად ეროვნული კონგრესის ანუ საბჭოთა არჩევნების ბოიკოტის მეთოდი, ბალტიელებისათვის თითქოს უფრო მისაღებიც კი უნდა ყოფილიყო. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის მიერ რიბენტროპ-მოლოტოვის გარიგებით სანქცირებული ბალტიის რესპუბლიკების ოკუპირება 1939 წელს დასავლეთის სახელმწიფოებმა იურიდიულად არ ცნეს. აქედან გამომდინარე, ისინი არც ბალტიური რესპუბლიკების საბჭოთა ხელისუფლებებს სცნობდნენ. ლიტველებს, ლატვიელებს და ესტონელებს რომ ალტერნატიული არასაბჭოური არჩევნები ჩაეტარებინათ და ეროვნული კონგრესები აერჩიათ, მსოფლიოსათვის მათი აღიარება იურიდიულად მისაღები იქნებოდა.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში სამივე რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ არჩეულ ეროვნულ კონგრესებს საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არ სცნობდა. სწორედ ამიტომ ბალტიელებმა საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობა და იმპერიული სტრუქტურების გამოყენებით ბრძოლის საბჭოურ — „ლეგიტიმური“ გზა აირჩიეს. სწორედ ამაში მდგომარეობდა დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი „ლიტვური გზა“, რომელსაც თავიანთ ხმაურიან მიტინგებზე ქართველი რადიკალები გაუგებარი ირონიით კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ.

ეროვნული კონგრესის იდეა მხოლოდ საქართველოს რადიკალურ მოძრაობაში არ ყოფილა პოპულარული. თავდაპირველად ესტონეთის ეროვნული მოძრაობაც კონგრესის ალტერნატიუ-

### ანალიზის ცდა

*როგორც თავშივე იყო დათქმული, ჩვენი დისკუსიის კარი ღიაა ყველა მკითხველისთვის, რომელთაც საბოლოო ჭეშმარიტების ძიების გზაზე შეუძლიათ რადიკალურად საპირისპირო მოსაზრებათა გამოთქმა. ცხადია, დისკუსიას ეს „რადიკალური ხასიათი“ იმ იმედით ეძლევა, რომ ყოველი მომდევნო ავტორი, როგორც იტყვიან, თავის შეხედულებათა „ქარ-ცეცხლში გაატარებს“ წინა ავტორთა არცთუ იშვიათად სუბიექტურ ნააზრევს.*

*ბუნებრივია, ასეა ამჯერადაც. განსაკუთრებით ეს ითქმის ქუთაისელი ავტორის — გ.გურეშიძის წერილზე, რომელშიც უკიდურესად მწვავედ არის გამოთქმული ბევრი მოსაზრება. რა ვუყოთ, სიმართლე ყოველთვის სასიამოვნო მოსასმენი არ არის. დისკუსია კი იმის დისკუსიაა, რომ ხშირად „ეკლიანი“ გზით ვიაროთ ამ სიმართლისაკენ.*

*როგორც თქმულა, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!..*

**გიწვევთ სამშობლოს ბედზე მოფიქრალ ყველა მოაზროვნე ადამიანს**

**ჩვენი უახლოესი უბედური წარსული: წლები, მოვლენები, ადამიანები**

**დისკუსიის თემაა: „საქართველო 1985–2003 წლებში“**

№ 65. პარასკევი, 13 აპრილი, 2007 წელი.

# დისკუსია

ჩვენმა კუდაბზიკა ეროვნელებმა კი ზედმეტად გამოიდეს თავი და ქართველ ხალხს ზედმეტად აღვრევინეს სისხლი, განსაკუთრებით სუსტი სქესის წარმომადგენლებს, რაც ჩვენთვის, მამაკაცებისათვის, შემარცხვენელი და შეურაცხმყოფელია. აი, რა გზა გამოვიარეთ

## რა გზა გამოვიარეთ

ლი არჩევნების გზას დაადგა. იქ აირჩიეს კიდეც ეროვნული კონგრესი, მაგრამ ესტონურმა ეროვნულ-პოლიტიკურმა მოძრაობამ ქვეყნის უმაღლესი საბჭოს არჩევნებშიც მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა კიდეც. ესტონეთშიც და ლიტვაშიც ეროვნულმა ძალებმა სწორედ 1990 წლის მარტ-აპრილში გაიმარჯვეს, მაშინ როცა ჩვენებურ ეროვნულ ფორუმში საბჭოთა არჩევნების ბოიკოტისა და კონგრესის არჩევის გადაწყვეტილება ახალი მიღებული გახლდათ.

ეროვნული კონგრესის იდეა და პრაქტიკა, ფაქტობრივად, სამართლებრივი ჩიხი გამოდგა, რამდენიმე მიზეზის გამო.

1. 1990 წლის რეალობის ფონზე, ცენტრალური და რესპუბლიკის საბჭოთა ხელისუფლება მკვეთრად დაუპირისპირდებოდა და უბრალოდ არ სცნობდა უარმყოფელ ალტერნატიულ ეროვნულ კონგრესს და ამ უკანასკნელის მიერ განზრახულ არჩევნების შედეგსაც არ აღიარებდა.

2. კონგრესის არჩევნებს ან მასში გამარჯვებულ საქართველოს ეროვნულ-რადიკალურ ძალებს არ ცნობდა არც დასავლეთი, თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არსებობდა საბჭოთა კავშირი.

3. ეროვნული ფორუმის მიერ განზრახული საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის იდეა სრულიად უტოპიური გეგმა გახლდათ, რომელსაც მხარს არ დაუჭერდა ქართველი საზოგადოების უმრავლესობა. დიდ საბჭოურ იმპერიასთან ღია დაპირისპირება იქნებოდა დამარცხებისათვის წინასწარ განწირული სტრატეგია და ქართველი საზოგადოების უმრავლესობა ამგვარ ბრძოლაში არ ჩაებმებოდა. ამ შემთხვევაში ეროვნულ-რადიკალური მოძრაობა სახალხო მხარდაჭერის გარეშე, იზოლაციაში აღმოჩნდებოდა.

ძნელი სათქმელია, თუ რატომ დაადგა ქართული ეროვნულ-რადიკალური მოძრაობა ბრძოლის ამგვარ არარაციონალურ გზას. ფაქტია, რომ ბალტიელების წარმატებულ სამართლებრივ ბრძოლას, რომელიც იმხანად მსოფლიოს თვალწინ მიმდინარეობდა, საქართველოს რადიკალურ მოძრაობაშიც უნდა გამოსჩენოდნენ მომხრეები. ამას მოითხოვდა მოვლენების განვითარების ლოგიკა.

ასეც მოხდა. როგორც ცნობილია, 1990 წლის გაზაფხულზე ეროვნულ ფორუმს გამოეყო რადიკალური ორგანიზაციების ერთი ნაწილი, რომელმაც მიზნად სწორედ საპარლამენტო ბრძოლის „ლიტვური გზა“ აღიარა. როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, ეს იყო რაციონალური არჩევანი, რომელიც 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის გამარჯვებით დასრულდა.

**დიმიტრი შველიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი



# პატივი ვცეთ ისტორიულ მეხსიერებას

*მისასალმებელია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ დისკუსია თემაზე — „რა გზა გამოვიარეთ — საქართველო 1985-2003 წლებში“. შესანიშნავი და გაბედული წამოწყებაა! „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე უკვე გამოქვეყნდა ღრმა შინაარსის სადისკუსიო მასალები, რომელთა ავტორები სინამდვილის სურათებს გვიხატავენ და მეცნიერულ დასკვნებსაც აკეთებენ.*

*ამ სტრიქონების ავტორმაც გადაწყვიტა ზოგიერთ ფასეულობებზე მკითხველს განსასჯელად თავისი ხედვა მიაწოდოს.*

*სადისკუსიო თემის ქრონოლოგია, 1985 წლიდან რომ იწყება, სავსებით გამართლებულია, რამეთუ ამ წელს, მ. გორბაჩოვის ხელმძღვანელობაში მოსვლით, სსრ კავშირის ცხოვრებაში გარდაქმნის ნიღაბქვეშ მისი დაშლის დაჩქარებული პროცესი იწყება. სსრ კავშირის წინააღმდეგ შეთქმულებათა სერიალი მისი შექმნის დღეებიდანვე დაიწყო, მაგრამ ი. სტალინის რკინის ხელის ძალისხმევით შინაური და გარეშე მტრების სასტიკი მარცხით მთავრდებოდა; ამჯერად კი ამერიკა-დასავლეთის გლობალისტებთან შეთქმულებმა — მ. გორბაჩოვმა, ე. შევარდნაძემ, ა. იაკოვლევმა და სხვებმა, — მიზანს მიაღწიეს და სსრ კავშირი დაანგრიეს, ზედ სოციალიზმიც მიაყოლეს. მოგვიანებით მ. გორბაჩოვი განაცხადებს: „მთელი ჩემი ცხოვრების მიზანი კომუნიზმის განადგურება იყო“. (გაზ. „პრავდა როსსიი“, № 20,26 ივლისი — 1 აგვისტო, 2000, გვ. 3.ძ.*

იმავე 1985 წლიდან ე. შევარდნაძე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ხდება, რაც ქართველ ხალხს უბედურებად ექცა, რადგან ე. შევარდნაძემ, მ. გორბაჩოვთან ერთად, ბევრი წყენა მიაყენა ხალხს. მათ საბჭოთა ხალხებს, და, უწინარეს ყოვლისა, რუსებს გაუნიორწყლეს უდიდესი მსხვერპლის ფასად მოპოვებული გამარჯვება დიდ სამამულო ომში, ამასთანავე ბერინგის ზღვიდან თევზით მდიდარი 8 ათასი კვადრატული კილომეტრის სივრცე აშშ-ს მიართვეს, და ა.შ. ე. შევარდნაძის გაფუჭებული საქმეები რუსებმა თავზე ქართველებს დაამსხვრიეს.

ე. შევარდნაძე ყველა დროისა და სივრცის ღალატის რეკორდსმენად მოგვევლინა; მნიშვნელობა არა აქვს, ვის ან რას უღალატა; ღალატი ღალატია. იგი ამასთანავე კონსპირაციის დიდოსტატიცაა. მას ეკუთვნის ცნობილი ფრაზები: „ჭაბუკობიდანვე ვებრძოდი ბოლშევიზმს და მთელ სისტემას“, „ბოლშევიზმი მე-20 საუკუნის შავი ჭირია“, „კომუნისტები კეთროვანები არიან — ერიდეთ მათ“, რომლებიც მან ე.წ. ტერორისტული აქტების დღეებში გააჟღერა. ხუმრობა როდია, კაცს, რომელიც ჭაბუკობიდანვე ბოლშევიზმს ებრძოდა — ბოლშევიზმის მამამთავრის სახელობის ოთხ ორდენს იხვეჭს; კიდევ მეტი — ბოლშევიკთა უმაღლესი ორგანოს — პოლიტბიუროს წევრობასაც აღწევს; მისი ღალატი ვერავინ შეამჩნია; კონსპირაციის ჯერ არნახული რეკორდია, გინესის წიგნში შეტანას ნამდვილად იმსახურებს.

1985-1990 წლებში ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ, მისმა ლიდერებმა ზოგჯერ ისეთ დროს ამტვრიეს ღია კარები და შეიწირეს ადამიანთა სიცოცხლე, სადაც ეს საჭირო არ იყო. მაგალითად, მათ უნდა შეეცნოთ და სცოდნოდათ, რომ სსრ კავშირის ნგრევა ზემოდან, მისი ხელმძღვანელობის ინიციატივით მოდიოდა. მთელ რიგ რესპუბლიკებში, მაგალითად ყაზახეთში, მიხვდნენ, რომ გორბაჩოვი და კომპანია ე.წ. გარდაქმნით სსრ კავშირს ანგრევდნენ და არც შემცდარან. მათ უმსხვერპლოდ მიიღეს დამოუკიდებლობა. ჩვენმა კუდაბზიკა ეროვნელებმა კი ზედმეტად გამოიდეს თავი და ქართველ ხალხს ზედმეტად აღვრევინეს სისხლი, განსაკუთრებით სუსტი სქესის წარმომადგენლებს, რაც ჩვენთვის, მამაკაცებისათვის, შემარცხვენელი და შეურაცხმყოფელია. აი, რა გზა გამოვიარეთ.

1985-2003 წლებიდან ცალკე გამოვყოფ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ტრაგედიას, ქართველთა ურთიერთდაპირისპირებას, თბილისის ომს, რომელიც სამარცხვინო ფურცელია ჩვენს უახლოეს ისტორიაში. იქ დაღვრილი სისხლი ე. შევარდნაძის ნამუსზეა. ეს ამბოხი თუ პუტჩი 1992 წლის მარტში ე. შევარდნაძემ მონათლა როგორც „დემოკრატიული რევოლუცია“, მიმართული „პროვინციული ფაშიზმის“ წინააღმდეგ. 2000 წლის აპრილში, საპრეზიდენტო არჩევნების დღეებში, იგივე შევარდნაძე აცხადებდა: „ეს იყო ქართველთა ტრაგედია, რომელიც არ უნდა მომხდარიყოო“. სწორედ ამაზე ითქმის ყვარყვარე-ქამელეონობა; შევარდნაძის რომელ შეფასებას ვენდოთ? როგორც იტყვიან — ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში „გამარჯვებულ“ და ეიფორიაში მყოფ შევარდნაძეს სიმართლე წამოსცდა; „...ბევრი ჩემი ოპონენტი მეუბნებოდა, რომ შევარდნაძემ ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა. თუმცა თუ უზურპაციას უკეთესი შედეგები მოჰყვება, ხანდახან ესეც უნდა გამოიყენო“ (გაზ. „საქართველოს პარლამენტი“, 30 ნოემბერი, 1995 წ.ძ. როგორც ვხედავთ, ე.შევარდნაძე აშკარად ამართლებდა ძალაუფლების უზურპაციის პრაქტიკას. სწორედ უზურპაციის გამოყენებით მოვიდა იგი ხელისუფლებაში 1992 წელს.

1985-2003 წლების ქართველთა ტრაგედიებში ლომის წილი ე. შევარდნაძეს მიუძღვის. მას სრული უფლება აქვს მემუარების ტომეულებს საერთო სათაური — „ღალატი — ჩემი არჩევანი“ ან კიდევ „ღალატი ჩემი ხელობაა“ — მოარგოს.

1992-203 წლებში, ე.შევარდნაძის ხელისუფლების ჟამს, საქართველოში პატრიოტიზმისაგან გაუცხოების და გლობალიზაცია-კოსმოპოლიტიზმის მზარდი ეპიდემია მძვინვარებდა. სულ უფრო მეტმა ქართველმა იწყო ცხოვრება დევიზით: „სადაც დოლარი მეგულვის — ჩემი სამშობლოც იქ არის“.

300 ათასი ლტოლვილის ცოდვატანჯვაც ასევე ე. შევარდნაძის სინდისზეა, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?

ვფიქრობ, 1992 წლის 7 მარტი, მოსკოვიდან ე. შევარდნაძის თბილისში ჩამოსვლის დღე, გამოცხადდეს გლოვის დღედ.

რა სასახელო საქმეები ე. შევარდნაძემ აკეთა, მემუარებში რომ აისახოს? ე. შევარდნაძისათვის ისეთი ადამიანური თვისებები, როგორიცაა სინდისი, ნამუსი, სირცხვილი და ა.შ. უცხო ხილი აღმოჩნდა.

სოციალიზმის დამანგრეველი — სოციალისტური შრომის გმირი?! საოცრებაა, მკრეხელობაა, არნახული ცინიზმია. ე. შევარდნაძემ სოციალისტური შრომის გმირის რეგალიები, სადაც ჯერ არს, უკან უნდა დააბრუნოს.

2003 წლის ნოემბრის მღელვარე დღეები დამთავრდა იმით, რომ ხალხის თვალში მაქსიმალურად გაკოტრებული ე. შევარდნაძე 23 ნოემბერს, როგორც იქნა, ააგლიჯეს პრეზიდენტის სავარძელს.

საქართველო შესულია გაეროს ცნობილი დოკუმენტის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მოქმედების სივრცეში, რამაც საშუალება მომცა სახელმძღვანელოდ გამოვიყენო მისი მე-19 მუხლი, რომელიც ღაღადებს: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება — ჰქონდეს თავისუფალი მრწამსი და თავისუფლად გამოხატოს ის; ეს უფლება გულისხმობს იმას, რომ მას შეუძლია დაუბრკოლებლად უერთგულოს ამ მრწამსს და თავისუფლად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებებისა და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად“.

ამ შემთხვევაში ჩემი მრწამსი გაზეთის საშუალებით გაახლეთ, პატივცემულო მკითხველო, რომლის სამართლებლივ უფლებას აღნიშნული დეკლარაცია მაძლევს. იმედია, თქვენს აზრებს გამოთქვამთ გაზეთის მიერ დაყენებულ მეტად აქტუალურ სადისკუსიო თემაზე.

**გივი გურეშიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პოლიტოლოგი.
ქ. ქუთაისი



დისკუსიას უძღვებიან ისტორიკოსი ვახტანგ გურული, პოლიტოლოგი მალხაზ მაცაბერიძე და ჟურნალისტი გურამ გოგიაშვილი.

№ 65. პარასკევი, 13 აპრილი, 2007 წელი.

● კონდოლიზა რაისის აზრით, მოსკოვისთვის სწორედ ახლა ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა იმას, რომ ჰყავდეს ძლიერი, ტერიტორიული თვალსაზრისით მთლიანი და დემოკრატიული მეზობლები



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გულახდილი დებატები გაეროში

**სკანდალით დასრულდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთში გაეროს სამშვიდობო მისიის მანდატის გახანგრძლივებას. რუსეთის ფედერაციის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა, რომელმაც მოიმიზეზა, რომ მის მიერ წარმოდგენილი თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ტელემიმართვისთვის „არავის მოუსმენია“, დემონსტრაციულად დატოვა სხდომათა დარბაზი. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა კი, თავის მხრივ, განაცხადა, რომ რუსეთი აღარ არის სსრ კავშირი და, შესაბამისად, მან უნდა აღიაროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და შეწყვიტოს სეპარატიზმის მხარდაჭერა.**

აფხაზეთის საკითხის თაობაზე დისკუსიები უშიშროების საბჭოში დაიწყო სამშაბათს დახურული რეჟიმით. ვარაუდობდნენ, რომ ცისფერჩაჩქნიანების მანდატის გახანგრძლივების გარდა, მხარეები განიხილავდნენ ასევე კოდორის ხეობაში მომხდარ ინციდენტსაც, როცა 13 მაისს, ოფიციალური თბილისის განცხადებით, არტილერიით და ვერტმფრენებით დაუშინეს ცეცხლი ხეობის სამ სოფელს. მაგრამ, სულ მალე აშკარა გახდა, რომ ყოველივე ეს დასრულდებოდა მხოლოდ მხარეებს შორის ურთიერთობის ბანალური გარჩევით.

თუმცა, ჯერ კიდევ სხდომის დაწყებამდე რუსმა დიპლომატებმა განაცხადეს, რომ უშიშროების საბჭო შეგნებულად ცდილობს, რომ საკითხის სერიოზული განხილვა ფარსად გადააქციოს, და ამით მოახდინოს თვით საკითხის არსის დისკრიმინაცია. ასეთი მკაცრი განცხადების გაკეთებისთვის საფუძველი გახდა ის, რომ ამერიკელებმა არ მისცეს ქვეყანაში შესასვლელი ვიზა თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი შამბას.



**„აფხაზეთი არის კონფლიქტში საერთაშორისოდ აღიარებული მხარე, მას უფლება აქვს და უნდა გამოთქვას კიდეც თავისი აზრი უშიშროების საბჭოს წევრთა წინაშე. თვით საბჭოს წევრებს კი უფლება აქვთ მოისმინონ აფხაზური მხარის მოსაზრება და ვალდებულიც არიან გააკეთონ ეს“**, – ხაზგასმით აღნიშნა რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა სხდომის დახურული ნაწილის დაწყების წინ. რუსმა დიპლომატმა მაშინათვე გაავლო პარალელი ბალკანეთთან. **„განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მთელი წლების განმავლობაში კოსოვოში შექმნილი სიტუაციის შესახებ საერთაშორისო გაერთიანება ისმენდეს მხოლოდ სერბეთის მხარის ინფორმაციას?“**

ჩურკინმა სცადა, რომ შამბას არყოფნა „შეევსო“ მისი ტელემიმართვით. მაგრამ აფხაზი პოლიტიკოსის მოსაზრების გაცნობა არავის მოუსურვებია. ამის შემდეგ ჩურკინმა დემონსტრაციულად დატოვა სხდომათა დარბაზი.

თუმცა, თუ მოვლენათა განვითარებით ვიმსჯელებთ, რუსეთის მხარის ასეთ დემარშს უშიშროების საბჭოს წევრებზე არანაირი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაეროში არა მარტო არ დაუჭირა მხარი აფხაზეთის ცნობის იდეას, არამედ თავისი კოლეგა ინსინუაციებშიც დაადანაშაულა და მოუწოდა, რომ **„არ გაავლოს ყალბი ანალოგიები აფხაზეთსა და კოსოვოს შორის“.**

საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ირაკლი ალასანია კი გაოცებას ვერ მალავდა: **„ნუთუ, ვინმეს მოუვიდა თავში აზრად ელაპარაკა იმაზე, რომ სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენელი შეიძლება მოხვედრილიყო გაეროში?“.** შემდეგ კი ალასანიამ დასძინა: **„გულახდილად რომ ვთქვათ, უშიშროების საბჭოს ყველა წევრს მათ უკვე ნამდვილად მოაბეზრეს თავი ამაზე ლაპარაკით“.** მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს ყველას თურმე არ მობეზრებია. რუსეთის ფედერაციის საგარეო სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა ვლადისლავ ჩერნოვმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ აფხაზეთის სტატუსი უნდა განისაზღვროს სერბეთის კოსოვოს მხარის პრობლემის ანალოგიურად, რომელიც სუვერენიტეტს მოითხოვს.

რუსი ექსპერტის ვიქტორ მიხინის აზრით, სიტუაცია უახლოეს მომავალში ალბათ არ შეიცვლება. **„უნდა შევიგნოთ, რომ მხარეებმა დაიკავეს შეურიგებელი პოზიციები და არ დათანხმდებიან კომპრომისს“**, – თქვა მან. ამასთან, **„რუსეთს მიაჩნია: „თქვენ მხარს უჭერთ კოსოვოს, ჩვენ კი – აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს და დნესტრისპირეთს. სხვაგვარად არ გამოვა“**, – დასძინა ექსპერტმა.

ის, რომ „სხვაგვარად არ გამოვა“, პრინციპში, დაადასტურა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმაც. სანამ მიმდინარეობდა სხდომა, იგი ჟურნალისტებს ხვდებოდა და ბევრი ილაპარაკა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ, ამტკიცებდა, რომ **„რუსეთი ამაზე დიდად არ იწუხებს თავს და სეპარატისტებს უმაგრებს ზურგს“.** ამის შემდეგ ქალბატონმა რაისმა გაიხსენა სსრ კავშირი და აგრეთვე ის, რომ რუსეთი არის „ბოროტების იმპერიის“ სამართალმემკვიდრე. მაგრამ რუსეთი მაინც აღარ არის სსრ კავშირი, თქვა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა. ამიტომ, კონდოლიზა რაისის აზრით, მოსკოვისთვის სწორედ ახლა ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა იმას, რომ ჰყავდეს ძლიერი, ტერიტორიული თვალსაზრისით მთლიანი და დემოკრატიული მეზობლები.

**არტემ ოპარინი**

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

# საქართველო მიესალმება „ნატოს თავისუფლების კონსოლიდაციის აქტის“ ხელმოწერას

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ „ნატოს თავისუფლების კონსოლიდაციის აქტის“ ხელმოწერა ნიშნავს საქართველოს მოქმედების მხარდაჭერას, რომელიც მიზნად ისახავს ინტეგრაციას ნატოში, და აძლევს სტიმულს ქვეყანაში შესაბამისი რეფორმების გაგრძელებას, ხაზგასმულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 11 აპრილს გავრცელებულ განცხადებაში.**

„ნატოს თავისუფლების კონსოლიდაციის აქტი“ არის საქართველოს მისწრაფების ყველაზე გულწრფელი მხარდაჭერა, რომელიც მიზნად ისახავს ნატოში ინტეგრაციას დემოკრატიულ რეფორმათა საფუძველზე. საქართველო ამ დოკუმენტს მიიჩნევს როგორც ძლიერ სტიმულს რეფორმათა გაგრძელებისთვის, აგრეთვე საერთაშორისო უშიშროებისა და წესრიგის დამყარების საქმეში წვლილის შეტანისთვის“, – აცხადებს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყება.



„ნატოს თავისუფლების კონსოლიდაციის აქტი“ არის იმისი აშკარა დადასტურება, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერს ნატოს გაფართოების პროცესს, ისევე როგორც უჭერს მხარს ალიანსში გაწევრებისათვის არჩეულ საქართველოს სტრატეგიულ გეზს“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

**„ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ამ პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას საქართველო მიიჩნევს მორიგ გზავნილად, რომ შესაბამისად დაფასდება ჩვენი არჩევანი და ძალისხმევა, რომელიც მიზნად ისახავს ალიანსში შესვლას“,** – ხაზგასმულია განცხადებაში.

**„საქართველომ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ეფექტიანად გამოიყენოს ნატოსთან თანამშრომლობის შესაბამისი მექანიზმები, როგორებიც არის ალიანსთან ინდივიდუალური თანამშრომლობის გეგმა და ინტენსიური დიალოგი, რათა გადავიდეს ნატოსთან ურთიერთობის უფრო მაღალ დონეზე – ნატოში გაწევრების სამოქმედო გეგმაზე“,** – აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

**„ალიანსში შესვლისთვის სამოქმედო გეგმის მიღება იქნება საქართველოში განხორციელებულ რეფორმათა შეუქცევადობის მტკიცე გარანტია და უზრუნველყოფს ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის სტაბილურ კურსს“,** – ხაზგასმულია დოკუმენტში.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 10 აპრილს ხელი მოაწერა 2007 წლის აქტს ნატოში თავისუფლების კონსოლიდაციის შესახებ, რომელიც მხარს უჭერს ალიანსში ალბანეთის, ხორვატიის, მაკედონიის, საქართველოს და უკრაინის ინტეგრაციას.

როგორც აქტშია ხაზგასმული, **„ევროპაში ხანგრძლივი სტაბილურობა და უშიშროება მოითხოვს არსებულ ევროპულ სტრუქტურებში ახალგაზრდა დემოკრატიათა სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას“.**

АГЕНТСТВО МЕЖДУНАРОДНОЙ ИНФОРМАЦИИ НОВОСТИ

# გრიბოედოვს მთაწმინდის პანთეონიდან „ასახლებენ“?

**დიდი რუსი მწერლის, პოეტის, დრამატურგის და დიპლომატის ალექსანდრე გრიბოედოვის ნეშტი შეიძლება გადაასვენონ თბილისის მთაწმინდის პანთეონის ფარგლებს გარეთ. ეს განაცხადეს გუშინ საქართველოს პარლამენტის დეპუტატებმა, რომლებმაც განიხილეს, თუ ვინ და რა დამსახურების გამო შეიძლება დაიკრძალოს პანთეონში.**

პარლამენტარები აღიარებენ, რომ გრიბოედოვი, რომლის სახელსაც ატარებს თბილისის რუსული დრამატული თეატრი, გამოჩენილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე იყო. მაგრამ, მათი აზრით, გრიბოედოვი ემსახურებოდა არა საქართველოს, არამედ რუსეთს.

ალექსანდრე გრიბოედოვი დიპლომატიური ხაზით მოხვდა საქართველოში 1822 წელს. ექვსი წლის შემდეგ მან თბილისში ცოლად შეირთო გამოჩენილი ქართველი პოეტის და გენერლის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი ნინო.

პარლამენტართა აზრით, პანთეონიდან უნდა გადაიტანონ ასევე სტალინის დედის ნაშთიც. მთაწმინდაზე სულ 48 საფლავია. ყველაზე ბოლოს იქ დაკრძალეს საქართველოს ექს-პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომლის ნეშტიც გროზნოდან გადმოასვენეს და აპრილის დამდეგს მიაბარეს მთაწმინდის მიწას.

**მიხეილ ვიგნანსკი**

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

№ 65. პარასკევი, 13 აპრილი, 2007 წელი.

**ნარსული** • დავუკვირდეთ მოტანილ საიდუმლო დოკუმენტებს, რომლებიც გამოხატავენ რუსეთის მესვეურთა (მნიშვნელობა არა აქვს ცარიზმის დროინდელ, საბჭოთა პერიოდის თუ შემდგომი ხანისძ მორალს, მისწრაფებასა და სულისკვეთებას. ეს დოკუმენტები თავისი შინაარსით და სულისკვეთებით ისე გვანან მეფისდროინდელი თუ დღევანდელი რუსეთის მესვეურთა საქმეებსა და ნახელავს, როგორც წყლის ორი წვეთი ერთიმეორეს



◎ დოკუმენტები ღაღადებს

# დრო იცვლება, მაგრამ რუსეთი იგივეა მარად და მარად...

(მეხუთე გვერდიდან)

პ. სიტინის მეოთხე საიდუმლო მოხსენება საქართველოს გასაბჭოებას („советизация грузии"ძ ეხება.

მოხსენების დასაწყისში დახასიათებულია საქართველოს მდებარეობა, დემოგრაფია, ფლორა და ფაუნა, მეურნეობა, სასარგებლო წიაღისეული, სტრატეგიული მდებარეობა და ა.შ. ყველაფრიდან გამომდინარე, მოხსენებაში ვკითხულობთ: **„აშკარაა, რომ საქართველოს რუსეთისთვის ენიჭება მნიშვნელობა როგორც სატრანზიტო გზას, რომელიც, ბუნებრივი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რუსეთის ხელში უნდა იყოს".**

შემდეგ ატაშე ეხება საქართველოს სოციალურ და სახელმწიფოებრივ მოწყობას და უარყოფს და საქართველოს, როგორც ერთიან სახელმწიფო ორგანიზმს. მეგრელები, სვანები, აჭარლები, შავშ-კლარჯები, გურულები, იმერლები და ა.შ. ქართველებად არ მიაჩნდა, რადგან ეს შეესაბამებოდა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას.

გენერალი სიტინი თავდაჯერებული წერდა, რომ **ქართველებს არაფერი ეცხოთ და ებადათ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის, მეურნეობის მოწყობა-წარმართვის, შემოქმედებითი შრომის და ცოდნის, რაიმე სერიოზულის შექმნის. მათ მხოლოდ რუსეთის მიერ შექმნილი და დატოვებული მრავალნაირი მარაგების გამოყენება შეეძლოთ. ამიტომ საბჭოთა ჯარების მიერ შეტევის პერიოდში საქართველო ეკონომიკურ კატასტროფას განიცდიდა, აგონიაში იმყოფებოდაო.**

საქართველოს რესპუბლიკა მაინც თავისთავად დაეცემოდაო. თანაც გენერალი სიტინი იმდენად უტიფარი და უსირცხვილო იყო, რომ საბჭოთა წითელი არმიის შეტევას საქართველოს ხელისუფლების პროვოცირებას აბრალებდა.

ამავე მოხსენებაში გენერალი სიტინი თავისებურად ყოფს საქართველოს: **„ყოფილ საქართველოს სურამის ქედით ტეხილი ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ ნაწილად — აღმოსავლეთად და დასავლეთად ყოფს. თუ დასავლეთი საქართველო მთლიანად დასახლებულია ქართველური ტომებით, აღმოსავლეთ საქართველოში, ქალაქ თბილისის ჩათვლით, სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები ცხოვრობენ, კერძოდ, ეს არის ქართველების, სომხების, თათრების თავისებური შენარევი, გარდა ამისა, იქ გვხვდება რუსული, გერმანული და თვით ბერძნული მსხვილი ცენტრებიც კი. პრინციპში, სამართლიანი იქნებოდა, თუ აღმოსავლეთ საქართველოს ვუწოდებდით რუსულ-ქართულ-თათრულ-სომხურ-გერმანულს. ამიტომ ძალზე უსამართლო იქნება, თუ აღმოსავლეთ საქართველოში ხელისუფლება დარჩება შერეული ეროვნებათა თვითმართველობის პრინციპით. ჩვენი აზრით, საჭიროა ყოფილი საქართველოს რესპუბლიკა დაიყოს ორ სრულიად დამოუკიდებელ ნაწილად — აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ, რომლებსაც ექნებათ მმართვის განსხვავებული და დამოუკიდებელი ორგანოები".**

ასეთნაირად, სიტინის რეკომენდაციით, ამიერკავკასია ოთხ ნაწილად უნდა დაყოფილიყო: სომხეთად, აზერბაიჯანად, საქართველოდ და ცენტრალურ ოლქად — თბილისით, სადაც რუსული დაწესებულებები უნდა შექმნილიყო მთელი ამიერკავკასიისთვის. რუსეთის საელჩოს ატაშე ასევე უცნაური კოლონიური პრინციპით ყოფდა განათლების სისტემასაც — პირველ რიგში გამოყოფდა რუსულს, რომელიც სავალდებულო უნდა ყოფილიყო ყველასათვის, შემდეგ უშვებდა ქართულ და სხვა მეორეხარისხოვან ენებზე სწავლებასაც, თუ ამას ვინმე მოიწადინებსო. გენერალი სიტინი ასეთივე პრინციპით ყოფდა სახალხო მეურნეობის და სხვა დარგების მმართველობასაც, ოღონდ ყველა მათგანი უმაღლესი რუსული ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო. იქ, სადაც ეროვნებებს შორის ურთიერთდავა და პრეტენზიები წარმოიშვებოდა, არბიტრი უსათუოდ რუსი უნდა ყოფილიყო — გადამჭრელი ხმის უფლებით.

გენერალ პ. სიტინის მეხუთე მოხსენება რუსეთის რევოლუციური სამხედრო საბჭოს საველე საბჭოსადმი, ეხება ამიერკავკასიის ახალ ადმინისტრაციულ დაყოფას.

პ. სიტინი მწარედ დასცინის ქართველებს თავისი მთავრობისა და დამოუკიდებლობის დამხობის, აგრეთვე წითელი არმიის მოსვლის გამო წუხილისთვის. ის გახარებული წერს: **„წითელი არმიის მოსვლის შემდეგ აღმოიფხვრება რუსული ენის, რუსული კულტურისადმი მიყენებული ის ზიანი, რომელიც სულ უფრო იზრდებოდა ქართული მენშევიკური რეჟიმის მომძლავრების კვალობაზე, და რომელიც დიდ მორალურ და პრაქტიკულ ტვირთად აწვა არა მარტო რუსებს, არამედ საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებსაც, რომლებიც მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ წინანდელი რუსული რეჟიმის პირობებში".**

პ.სიტინი გახარებულია იმით, რომ რუსების გამოჩენისთანავე **„ქართული ენა თითქმის ყველგან გაქრა, თითქოს სადღაც დაიმალაო. პრაქტიკულად აღარ ისმის იგი ქუჩებში. მოწოდებები, ბრძანებები, განცხადებები, თეატრალური აფიშები, ყველაფერი რუსულ ენაზე იწერებოდა და ყველა ის ადამიანი, რომლისთვისაც რუსული ენა ძვირფასი იყო, სულ უფრო ხშირად იმეორებდა, რომ რუსული ენა წითელი არმიის ერთ-ერთი მონაპოვარია".**

სამწუხარო და სატირალი ისაა, რომ თავის ენაზე შეყვარებულ სიტინს ვერ წარმოედგინა, რას ნიშნავდა სხვისთვის თავისი ენა და რას ნიშნავდა მისი აკრძალვა და აბუჩად აგდება. არადა, ამისი აღქმა ნორმალური ადამიანისათვის ასე გაუგებარი და უცხო არ უნდა ყოფილიყო.

პ. სიტინი წერს, აქედან გამომდინარე, აფხაზეთი და სამეგრელო, არ ეკუთვნიან ქართველურ ტომებს და მათ არჩევანი უნდა მიეცეთ, რა სურთ და ვისთან სურთ ყოფნა: **„ყოველივე ამის თანახმად, სოხუმის ოლქის მოსახლეობას, რომელიც მიილტვის რუსეთის შავი ზღვის სანაპიროსკენ, რომელსაც არ აქვს ეროვნული კავშირი საქართველოსთან (არც აფხაზები და არც მეგრელები არ მიეკუთვნებიან ქართველურ ტომებსძ, უნდა მიეცეს იმის უფლება, რომ თვითონ გადაწყვიტოს, რუსეთს შეუერთდეს, თუ დარჩეს საქართველოში".**

ამასთან, რუსეთი, მთელი ამიერკავკასიის და, განსაკუთრებით, შავი ზღვის უკანონო მფლობელი, განკარგულებას იძლევა, რომ აფხაზეთს და, წარმოიდგინეთ, სამეგრელოსაც, არავითარი საერთო არ აქვთ საქართველოსთან და ისინი ყოველნაირად უნდა ჩამოსცილდნენ საქართველოს, ანუ რუსეთთან ერთად უნდა იყვნენ, ან უკიდურეს შემთხვევაში — ცალკე ავტონომიად, რუსეთის პატრონაჟით. საკვირველი ისიცაა, რომ რუსეთს თავისი თავი მოჰქონდა ისეთ კანონიერ არბიტრად, რომელიც ყველაფერს მოაგვარებდა ამიერკავკასიაში: თვით ტერიტორიული საზღვრების გამიჯვნას და ნავსადგურებისა და საგზაო კომუნიკაციების კუთვნილებასაც კი, იმდაგვარად, რომ არავინ არ დარჩენილიყო მათ გარეშე — ეკუთვნოდა თუ არა რომელიმე ხალხს ისინი. კიდევ მეტი, რუსეთის საელჩოს განკარგულებით: **„ახალქალაქის მაზრა უნდა გადაეცეს სომხეთს. ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი თითქმის მთლიანად სომხებითაა დასახლებული, იქ პრაქტიკულად ვერ ნახავთ ქართველებს, და იგი უნდა შეუერთდეს სომხეთს შულავერამდე (70 ათასი სომეხიძ".**

სხვათა შორის, ხშირად ჩვენ რომელიმე ქართველ მოღვაწეს ვაბრალებთ საქართველოს კუთვნილი ტერიტორიის გასხვისებას. სხვა საკითხია მასზე თანხმობის მიცემა, მაგრამ ფაქტობრივად ამას რუსეთი განკარგავდა თავისი შეხედულებით — ძალით და არა კუთვნილების და სამართლიანობის მიხედვით. როგორც ამ შემთხვევაში ვხედავთ, რუსეთი არ დაგიდევდა იმას — ხსენებული ტერიტორიები იყო თუ არა ქართველების ისტორიული კუთვნილება, როგორც სურდა ისე იქცეოდა, რადგან ძალა მის ხელში იყო.

ამრიგად, რუსეთის დამოკიდებულება მეზობელი ხალხებისადმი დღემდე ბატონყმურკოლონიზატორული და იმპერიალისტურია, რომელიც დაპყრობილ-დამორჩილებული ხალხების მიმართ ძალმომრეობაზე, ჩაგვრასა და ასიმილაცია-გაქრობაზეა აგებული, რომლის მაგალითია, ამიერკავკასია, სახელდობრ საქართველო. აბა, დავუკვირდეთ მოტანილ საიდუმლო დოკუმენტებს, რომლებიც გამოხატავენ რუსეთის მესვეურთა (მნიშვნელობა არა აქვს ცარიზმის დროინდელ, საბჭოთა პერიოდის თუ შემდგომი ხანისძ მორალს, მისწრაფებასა და სულისკვეთებას. ეს დოკუმენტები თავისი შინაარსით და სულისკვეთებით ისე გვანან მეფისდროინდელი თუ დღევანდელი რუსეთის მესვეურთა საქმეებსა და ნახელავს, როგორც წყლის ორი წვეთი ერთიმეორეს.

**გერონტი გასვიანი,**
**ზურაბ რატიანი.**




№2/632-07

## განჩინება

**საქართველოს სახელით**

**გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ**

15 მარტი 2007 წელი — ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია მოსამართლე ბესიკ სისვაძე**

**განმცხადებელი:** შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანი";

**წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (დირექტორიძ;** მიხეილ თავაძე;

**მოთხოვნა:** გაკოტრების საქმის გახსნა;

**ზეპირი მოსმენის გარეშე, ერთპიროვნულად განიხილა განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი. გამოარკვია და**

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანის" მიმართ;
2. აეკრძალოს შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანს" თავისი ქონების განკარგვა;
3. შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანის" გაკოტრების მმართველად მისი ქონების მართვის მიზნით დაინიშნოს ვახტანგ კაპანაძე დაბადებული 1972 წლის 2 ნოემბერს, საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მისამართი — რუსთავი, 21-ე მიკრორაიონი, კორპუსი №5ბ, ბინა №75, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი — რუსთავი, თოდრიას I ჩიხი, კორპ. №3, ბ. №32, პროფესია — იურისტი.
4. დაევალოს შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანის" ყველა კრედიტორს ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთ თვეში წარუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები გამოხატული ეროვნულ ვალუტაში, აგრეთვე წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის საბუთი, რაც ადასტურებს მათ მიმართ შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანის" ვალის არსებობას;
5. შეჩერებულ იქნეს შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანის" მიმართ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება, აგრეთვე აიკრძალოს შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანის" მიმართ ნებისმიერი იძულებითი აღსრულების დაწყება;
6. დაევალოს ყველა იმ პირს, რომელსაც შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანის" ქონების მიკუთვნებულ ნივთზე აქვთ საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში განუცხადონ შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანის" გაკოტრების მმართველს ამ უფლების შესახებ;
7. აეკრძალოს ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანის" ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია საწარმოს მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულებაზე — ამ ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება.
8. შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანის" გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის დროდ განისაზღვროს 2007 წლის 15 მარტის 17 საათი;
9. კრედიტორთა პირველი კრება მოწვეულ იქნეს 2007 წლის 15 მაისს 11 საათზე, მისამართზე ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;
10. განჩინების შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანის" აქვს საქმიანი ურთიერთობა;
11. დაევალოს შპს „საშენი მასალები და ნაკეთობანის" გაკოტრების მმართველს განჩინების გამოქვეყნება პრესის მეშვეობით. ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე ელექტრონული ინფორმაციის საშუალებით. ინფორმაცია გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზეც. გაეგზავნოთ განჩინება მარეგისტრირებელ ორგანოებს საჯარო და სამეწარმეო რეესტრში შესატანად;
12. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში კერძო საჩივრის შეტანის გზით განჩინების გამოქვეყნებიდან 12 (თორმეტიძ დღის განმავლობაში.

**მოსამართლე ბესიკ სისვაძე**


◎ ინფორმაცია

### „სახელმწიფოებანას" თამაშობენ

**აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი დააწესა. როგორც „აპსნი რუ" იტყობინება, აფხაზეთის დე ფაქტო მინისტრთა კაბინეტმა ვიზების გაცემის წესი დაამტკიცა, რომელიც ვიზების 9 კატეგორიას აწესებს. ესენია დიპლომატიური, სამსახურებრივი, საქმიანი, ტურისტული, მათ შორის ჯგუფური, სასწავლო, სამუშაო, ჰუმანიტარული და სატრანზიტო.**

**აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების სავიზო რეჟიმი არ შეეხება რუსეთსა და დსთ-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს და ის მხოლოდ შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებისთვის იმოქმედებს.**

**ინტერპრესნიუსი**

# ცხოვრება

● მცირეხნიანი „გასაუბრების“ შემდეგ გამომძიებლები ცემაზე გადავიდნენ. მას ოთახში მყოფი ყველა პირი ურტყამდა. ურტყამდნენ თავში, ფერდებში. ცემდნენ ხელკეტებით, სკამის ფეხით. ასკურავა იმ დონემდე მიიყვანეს, რომ თვით პოლიციელები იძულებულები გახდნენ, იგი საავადმყოფოში მიეყვანათ



## ◉ აჭარის პოლიციის „სადაგი“ დღეები

## მეწველი ძროხა

**აჭარის პროკურატურამ დააკავა ქობულეთის პოლიციის ჩაქვის ქვეგანყოფილების უფროსი რამაზ ახვლედიანი. მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. დაკავების მიზეზი გახდა მალღჩინოსნის მიერ თანამშრომლებისთვის ფულის გამოძალვის ფაქტები.**

2005 წლის 1 მარტს ინსპექტორი მინდია ჯინჭარაძე ახვლედიანის რეკომენდაციით უფროს ინსპექტორად დაინიშნა. თანამშრომლის დაწინაურებას უფროსი თავისთვის მატერიალური სარგებლის მოტანაში ხედავდა. მან ჯინჭარაძეს მოსთხოვა, ყოველი ხელფასის აღების შემდეგ ახვლედიანისთვის 30 ლარი გადაეხადა, ასე გაგრძელდა კარგა ხანს, როგორც ჩანს ხელქვეითს მობეზრდა მეწველი ძროხის როლში ყოფნა და საჩივრით პროკურატურას მიმართა. პროკურატურაში ახვლედიანისთვის გადასაცემი ყოველთვიური „შესაწირი“ სპეციალური ხსნარით დაამუშავეს და ჯინჭარაძეს მისცეს. ფულის აღება პოლიციის შენობასთან მოხდა, სადაც პოლიციის უფროსი დააკავეს კიდეც. ამის შემდეგ პროკურატურა დაინტერესდა, იყო თუ არა ეს გამოძალვის ერთადერთი შემთხვევა. გაირკვა, რომ ახვლედიანი მსგავსი მეთოდებით ხელქვეითების 70 პროცენტს სძალავდა ფულს.

## ჩვენების მიღება — ნებისმიერი მეთოდებით

**ქვეყნის სამართალდამცავ სტრუქტურებში მყარად მოიკიდა ფეხი სასურველი ჩვენებების ნებისმიერი მეთოდებით მიღების პრაქტიკამ. ამგვარ დარღვევებზე უამრავი საჩივარია შესული პროკურატურის ყველა ინსტანციაში, სასამართლოებში, შსს-ს გენერალურ ინსპექციაში მსგავს ქმედებებზე პროტესტს გამოთქვამენ ქვეყნის ომბუდსმენი, პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობოები, პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე. მიუხედავად ამისა, თითქმის არავინ დასჯილა. დაკავებულების, ეჭვმიტანილების წამება, ცემა-ტყეპა, მორალური ზეწოლა კიდევ უფრო ძლიერდება, რაც საზოგადოების სამართლიან აღშფოთებას იწვევს.**



აჭარის შს სამმართველოში დაიბარეს. შპს „აღორძინება-მ“-ის დარაჯი კოტე ასკურავა. იგი საგამოძიებო ნაწილში დაკითხეს, როგორც ფირმიდან ღვინის საწური დანადგარის მოპარვაში ეჭვმიტანილი... ასკურავა პოლიციაში ადვოკატთან ერთად მოვიდა. იგი მალევე გამოუშვეს, მაგრამ აქ ყველაფერი არ დამთავრებულა. მეორე დღეს აიყვანეს ასკურავას ძმა მამუკა.

როგორც იგი ამბობს, მას საგამოძიებო ნაწილში რამდენიმე გამომძიებელი და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი დავით კორძაია დახვდნენ. ასკურავას გადმოცემით პოლიციელები მისგან მოითხოვდნენ ძმის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას. მცირეხნიანი „გასაუბრების“ შემდეგ გამომძიებლები ცემაზე გადავიდნენ. მას ოთახში მყოფი ყველა პირი ურტყამდა. ურტყამდნენ თავში, ფერდებში. ცემდნენ ხელკეტებით, სკამის ფეხით. ასკურავა იმ დონემდე მიიყვანეს, რომ თვით პოლიციელები იძულებულები გახდნენ, იგი საავადმყოფოში მიეყვანათ. ნაცემი ამბობს, რომ ყველაზე მეტად დავით კორძაია აქტიურობდა. პალატაში მოთავსებულს აღენიშნება ტვინის შერყევა მძიმე ფორმებში და სხეულის მრავლობითი დაზიანებები.

ასკურავასვე გადმოცემით წამების დროს მას არა მხოლოდ აგინებდნენ, არამედ ცინიკურად ექცეოდნენ. გამომძიებლები „უხსნიდნენ,“ რომ თავად თუ ვერ მოიგონებდა, ხელკეტებით, სკამის ფეხებით მოეხმარებოდნენ გაეხსნებინა, „მოეგონებინა“ ძმის შესახებ დეტალები.

დაზარალებული გამოჯანმრთელების შემდეგ აპირებს პროკურატურას მიმართოს, თუმცა სამართლიანობის აღდგენის დიდი იმედი არა აქვს.

აჭარის შს სამმართველოს უფროსი დავით ბედია მომხდართან დაკავშირებით აცხადებს, რომ ცემის მითი ასკურავას შეთხზულია.

**ზაზა ბილიხოძე**

## ◉ ინფორმაცია

### გაზის ფასი გაიზრდება

**საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია (სემეკ) ბუნებრივი გაზის ტარიფის ზრდაზე 16 აპრილიდან იმსჯელებს. ამის შესახებ სემეკ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა ნინო ასათიანმა განაცხადა.**

16 აპრილს სემეკ-ის საჯარო სხდომის დღის წესრიგში „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ 2005 წლის 30 დეკემბრის დადგენილებაში ცვლილების შესვლის საკითხია შეტანილი.

როგორც სემეკ-ში განმარტავენ, სამომხმარებლო ტარიფის ზრდაზე კომისიაში განაცხადები ჯერ კიდევ იანვარში შევიდა, მათ განსახილველად კი 150-დღიანი ვადაა განსაზღვრული. განაცხადები შეტანილი აქვთ „ყაზტრანსგაზ-თბილისს“, „იტერა-საქართველოს“ და „საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“, თუმცა კომპანიებში მათ სატარიფო განაცხადებს არ აზუსტებენ.



შეიცვლება, სავარაუდოდ, გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურების ელექტროენერგიის ტარიფიც. სემეკ-ში აცხადებენ, რომ აღნიშნული ცვლილება ელექტროენერგიის ტარიფზე გავლენას არ მოახდენს.

გაზის სამომხმარებლო ტარიფის ზრდა ჯერ კიდევ იანვარში უნდა გაზრდილიყო, თუმცა მთავრობამ ტარიფის შესანარჩუნებლად 5 კომპანიას 125 მლნ აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი გამოუყო.

გაზის სამომხმარებლო ტარიფი იმპორტირებული ბუნებრივი აირის გაძვირებას უკავშირდება. საქართველო რუსეთიდან 1000 კბ. მ. გაზს 235 აშშ დოლარად იღებს, ხოლო აზერბაიჯანიდან 62,5 დოლარად (შაჰ-დენიზის საბადოდან) და 120 აშშ დოლარად (ძველი მაგისტრალური გაზსადენით). ამჟამად ძველი გაზსადენით გაზის მიღება შეწყვეტილია.

### საგულისხმო ვიზიტი

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები პორტუგალიაში იმყოფებიან. სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის მორიგ კონვენციაში. ქართული დელეგაცია პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ გია მენაბდის ხელმძღვანელობით იმყოფებოდა.**

— დელეგაციის ხელმძღვანელობა სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორთან, გია მენაბდესთან ერთად საქართველოში 11 აპრილს დაბრუნდა. ეს ვიზიტი არის სამედიცინო უნივერსიტეტის ევროაკრედიტაციისთვის მზადება და თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, — განაცხადა სამედიცინო უნივერსიტეტის პრესსამსახურის უფროსმა ნატო ასათიანმა.

### ტურისტული ბიზნესი სწრაფად განვითარდება

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის გიორგი არველაძის განცხადებით, თუ კი ტუროპერატორები და სახელმწიფო თანამშრომლობას გააგრძელებენ, მაშინ ქვეყანაში ტურისტული ბიზნესი სწრაფად განვითარდება.**

— საქართველოს დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, რომელსაც მიზანმიმართული გამოყენება სჭირდება. თუ კი კერძო სექტორი და სახელმწიფო თანამშრომლობას გააგრძელებენ საქართველოში ტურიზმი განვითარდება, — განაცხადა გიორგი არველაძემ.

ხელისუფლებამ 2007 წელი ტურიზმის წლად გამოაცხადა და ამ მიმართულებით გარკვეული პროექტების განხორციელებასაც გეგმავს.

### ბრალმდებელია... ადვოკატი

**ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი აჭარის პროკურატურას ბიზნესმენ ნუგზარ ხალვაშის გამტაცებლების მფარველობაში ადანაშაულებს.**

როგორც მან ჟურნალისტთა სახლში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ნუგზარ ხალვაშს პერიოდულად უკავშირდებიან გამტაცებლები, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ არიან მიცემულნი. ისინი ბიზნესმენს აშანტაჟებენ და ოჯახის წევრების ფიზიკური ლიკვიდაციით ემუქრებიან.

— ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ცხოვრება, პრაქტიკულად, აუტანელი გახდა, რადგან ყოველ მეორე დღეს ანონიმურად ურეკავენ გამტაცებლები და ეუბნებიან, რომ თუ პროკურატურიდან მათ წინაამდეგ საჩივარს არ გამოიტანს, მის შვილებსა და ოჯახის წევრებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიან, — განაცხადა ადვოკატმა.

### სასამართლო... ციხეში

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე ე.წ. „კრიტში“ სასამართლო პროცესის ჩატარებას აპროტესტებს და განმარტავს, რომ ეს სასამართლოს საჯაროობას ეწინააღმდეგება.**



საქმე ეხება 27 წლის ალექსანდრე ხუროშვილს, რომელიც კახეთში ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს და მისი სასამართლო პროცესი სიღნაღის რაიონულ სასამართლოში ტარდებოდა. საქმის მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილი სპეციალურად თბილისში ჩამოვიდა და სასამართლო პროცესის ე.წ. „კრიტში“ ჩატარებას აპირებს.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

## განცხადება

**2007 წლის 4 მაისს 14:00 საათზე ქ. ჩოლოყაშვილის II შეს. №4-ში შედგება სააქციო საზოგადოება „საქელექტრომანქანის“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. სს „საქელექტრომანქანის“ 2006 წლის მუშაობის შედეგები;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდა;
3. აუდიტის მოწვევა;
4. სხვადასხვა.

**სს „საქელექტრომანქანის“ სამეთვალყურეო საბჭო**

## ◉ ტრანსპორტი

## რად გააუქმეს გაჩერება „ოკრიბა“?

**დასავლეთ საქართველოსკენ გეზაღებული, თანაც საკმაოდ დატვირთული მგზავრებისთვის შეღავათი იყო ის, რომ მეტრო „დიდუბის“ ქვემოთ, ავტოსადგურებთან, დილმის მასივისკენ მიმავალი საქალაქო ავტობუსები ჩერდებოდნენ. აქედან სარეისო ავტობუსამდე ორიოდე ნაბიჯილა თუ იყო. ხალხი მადლიერებას ვერ ფარავდა.**

ახლა კი საქალაქო ავტობუსების მძღოლები აცხადებენ, რომ მათ ავტოსადგურ „ოკრიბასთან“ გაჩერება სასტიკად აუკრძალეს.

ამიტომაც ამაოდ ეხვეწებიან ტვირთაკიდებული მგზავრები საქალაქო ავტობუსების მძღოლებს — „ოკრიბასთან“ გაგვიჩერეო. არადა, მძიმე ტვირთი სამასი-ოთხასი მეტრიდან უნდა ათრიონ აქამდე. კი შეიძლება, ეს გადაწყვეტილება მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით იყოს მიღებული, მაგრამ იქნებ მოხერხდეს საკითხის ისე მოგვარება, რომ არც გაჭირვებულ ადამიანთა ინტერესები შეილახოს?

ხოლო თუ ეს ქვეყნის მოქალაქეებზე ან ქალაქის ხელისუფალთა „ზრუნვის“ ახლებური გამოვლენაა, მაშინ...

**კახი გურული**

## განცხადება

**სააქციო საზოგადოება „მშენებელი-96“-ის მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ**

**სს „მშენებელი-96“-ის სამეთვალყურეო საბჭო იწვევს აქციონერთა საერთო კრებას, რომელიც ჩატარდება 2007 წლის 3 მაისს 12 საათზე, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16-ში, VIII სართულზე.**

**დღის წესრიგი:**

1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და დირექტორის 2006 წლის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენა და მისი დამტკიცება;
2. მოგების განაწილება;
3. 2007 წლისთვის აუდიტის არჩევა.

**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ხარაბაძე**

№ 65. პარასკევი, 13 აპრილი, 2007 წელი.

● საპატიო მისია დაეკისრა კარლო ანჩელოტის გუნდს –„მილანი“ წინ უნდა აღუდგეს ინგლისური კლუბების ექსპანსიას და ღირსეულად გაუმკლავდეს კუნძულელებს ჩემპიონთა ლიგის დარჩენილ რაუნდებში



◎ ორბიტაზე



## ვარჯიშზე გული გაუჩერდა

**ეს ტრაგედია მოხდა სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთში, ქალაქ ვილფრანშსაურა-მერის სანაპიროსთან. როგორც ნიცადან იტყობინებიან, ვარჯიშის დროს გული გაუჩერდა 36 წლის ცნობილ ფრანგ მყვინთავს, მსოფლიო რეკორდსმენს ლოიკ ლეფერმს.**

მან 2004 წელს დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი, როდესაც უაკვალანგოდ, სუნთქვის დაყოვნებით 171 მეტრზე ჩაყვინთა, რითაც 9 მეტრით გააუმჯობესა თავისივე ადრინდელი მიღწევა. ლეფერმი სპეციალური მეთოდიკით ვარჯიშობდა და ხმელთაშუა ზღვაში სარეკორდო სიღრმეზე 2 წუთზე ნაკლებ დროში ჩაყვინთა. მან წყალში 3 წუთსა და 15 წამს დაჰყო. მთავარი სიძნელე იყო სიღრმეზე საშინელი წნევა.

სპორტსმენი სასწრაფოდ ნიცაში გადაიყვანეს, მაგრამ ვეღარ იხსნეს.

## ფაჩულიამ კვლავ ივაჟკაცა



**ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (ნბაძ რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „ატლანტამ“, სადაც ჩვენებური ზაზა ფაჩულია თამაშობს, სძლია „ბოსტონს“ – 104:96.**

ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ლიუმ, რომლის ანგარიშზეა 26 ქულა და 10 გადაცემა, და ზაზა ფაჩულიამ – 22 ქულა და 12 მოხსნა, აგრეთვე მერიმ და უილამსმა (21-21 ქულაძ. ბოსტონელებიდან თავი ისახელა 2007 წლის ზემოდან ტყორცნის კონკურსის მონაწილემ ჯერალდ გრინმა – 33 ქულა, ეს მისი ყველაზე შედეგიანი მატჩი იყო ნბა-ში.

◎ ფეხბურთი

# არ ელოდით?

**საპატიო მისია დაეკისრა კარლო ანჩელოტის გუნდს –„მილანი“ წინ უნდა აღუდგეს ინგლისური კლუბების ექსპანსიას და ღირსეულად გაუმკლავდეს კუნძულელებს ჩემპიონთა ლიგის დარჩენილ რაუნდებში. ამის უნარი რომ შესწევთ, „შავ-წითლებმა“ საპასუხო მეოთხედფინალურ შეხვედრაში დაამტკიცეს, როცა მიუნხენში ნახევარ საათში გამოუყვანეს წირვა პირველი მატჩის შედეგის (2:2ძ მიხედვით. აღნიშნულ წყვილში ფავორიტად მიჩნეულ „ბაიერნს“ – 2:0 (ზეედორფი, ინძაგიძ.**



მოგეხსენებათ, აპენინებზე წლეულს დაბრუნებულ რონალდოს ევროსარბიელზე თამაშის უფლება არა აქვს – მან ჯგუფურ ეტაპზე უკვე დაიცვა მადრიდის „რეალის“ ღირსება (თუ როგორ, ეს სხვა საკითხიაძ. დაუმატეთ ამას ჯილარდინოს დისკვალიფიკაცია და ოპტიმალური კონდიციებიდან ინძაგის შორს ყოფნა, აგრეთვე ის რომ ოლივეირამ ახლახანს მოიშუშა ტრავმა. მიხვდით, ხომ რისი თქმაც გვინდა – დიახ, ურთულესი ამოცანის წარმატებით გადაჭრა იტალიელებს თავდასხმაში შექმნილი პრობლემების ფონზე მოუწიათ. ამიტომაც არის კიდევ უფრო დასაფასებელი მათი გამარჯვება, რომელიც მნიშვნელოვანწილად შუახაზის (კაკა, პირლო, ზეედორფი, გატუზო, ამბროზინიძ კლასმა განაპირობა. სამართლიანობა მოითხოვს იმის გათვალისწინებასაც, რომ საკადრო სირთულეები მასპინძლებსაც ჰქონდათ, თუმცა სანიოლისა და შვაინშტაიგერის სრულფასოვნად შეცვლა ოტმარ ჰიტცფელდის შეგირდთაგან ვერავინ შეძლო.

რაც შეეხება „ლივერპულ“ – „ეინდჰოვენის“ წყვილს, მათ დუელში, მოგეხსენებათ, ყველაფერი ერთი კვირის წინათ გაირკვა, როცა მერსისაიდელებმა სტუმრად 3:0 წაივარჯიშეს. მათ ფორმალობასაც მშვიდად გაართვეს თავი და ამჯერად მხოლოდ 1:0 იკმარეს – 1:0 (კრაუჩიძ.

ასე რომ, 24 აპრილსა და 1 მაისს „ჩელსი“ – „ლივერპული“ და „მანჩესტერი“ – „მილანი“ დაწყვილდებიან და, ვინ იცის, 23 მაისს ათენში იქნებ შარშანწინდელი დაუვიწყარი ფინალიც („ მილანი“ – „ლივერპული“ძ გამეორდეს.

**გია პლატონიშვილი**

◎ ეროვნული ჩემპიონატი

# რევანში თუ კომპლექსები?

**დღეს XVIII ეროვნული ჩემპიონატის XX ტურში რამდენიმე ისეთი წყვილი შეებმება ერთმანეთს, თქვენი მოწონებული (ყველა მატჩი 16 საათზეა დანიშნულიძ. განსაკუთრებულ ინტერესს, ბუნებრივია, ლიდერთა მონაწილეობით გასამართი შეხვედრები იწვევს და, მოდით, ჩვენც მათზე შევჩერდეთ.**

**„ვიტ ჯორჯია“ – „ოლიმპი“**. ამ გუნდების მეტოქეობა პირველ წრეში დანების ტრიალით დასრულდა, რაც ვეტერინარებს სარევანშოდ დამატებით სტიმულს აძლევს. ვიმედოვნებთ, ამჯერად ყველა კითხვას პასუხი მცხეთის სტადიონზე გაეცემა.

**„დინამო“ – „ზესტაფონი“**. დუშან უჰრინის შეგირდებს შეფერხების უფლება არა აქვთ – მათ ხომ ფინიშამდე დარჩენილ შვიდ ტურში რუსთაველებთან სამქულიანი ჰანდიკაპი უნდა აღმოფხვრან. თავის მხრივ, ანალოგიური ამოცანა აქვთ გადასაჭრელი ყვირილასპირელებს – გამარჯვების შემთხვევაში ისინი ქულებით მასპინძლებს გაუთანაბრდებიან. არის კიდევ ერთი გარემოება, რის გამოც ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონს მრავალრიცხოვანმა გულშემატკივარმა უნდა მიაშუროს – ესაა თემურ მახარაძისა და ზურაბ იონანიძის ფაქტორი. პირველი, როგორც მწვრთნელი, დინამოელებს სისხლს წლების განმავლობაში უშრობს, ვეტერანი სნაიპერი კი „თეთრ-ლურჯებს“ თითქმის ყოველ სეზონში უტანს გოლებს. ასე რომ, საჭირბოროტოდ დგას საკითხი – მოიშლიან მათ კომპლექსს ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონები?

**„ამერი“ – „სიონი“**. ისტორია მეორდება – ამ გუნდებს შარშანდელივით ზედიზედ უწევთ ერთმანეთთან საჩემპიონატო და სათასო ფრონტებზე დაპირისპირება. ალბათ, გახსოვთ, რომ მაშინ კახა ცხადაძისა და გიორგი ჩიხრაძის გუნდებმა ორი კურდღლის მდევრობას თითო ტიტულის განაწილება ამჯობინეს. სავსებით შესაძლებელია წლეულსაც ასე მოხდეს – ბოლნისელებს ხომ საევროპედ მხოლოდ სათასო ბილიკი დარჩათ გასავლელი.

**დღესვე ითამაშებენ:** „ბორჯომი“ – „ტორპედო“, „დილა“ – „კახეთი“, „ბათუმი“ – „ლოკომოტივი“, „ჩიხურა“ – „მერანი“.

**გიორგი შოთაძე**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**



◎ კალათბურთი

# მეოთხე წრის ფინიშზე



**როგორც უკვე გაუწყეთ, „მაკაბის“ ცენტრალურ თავდამსხმელს გიორგი შერმადინს მემფისში ამერიკისა და მსოფლიოს ახალგაზრდულ ნაკრებთა საჩვენებელ-სასელექციო შეხვედრაში უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ერთ-ერთ წინასამატჩო ვარჯიშზე დაშავდა და სარბიელზე ვერ გავიდა.**

ჯამლეტ ხუხაშვილის უნიჭიერესი შეგირდი სამშობლოში გაწბილებული დაბრუნდა და ტრავმას იშუშებს, ამიტომ ძნელი სათქმელია, დაეხმარება თუ არა იგი ხვალ პარტნიორებს სუპერლიგის IV წრის დასკვნითი ტურის პრინციპულ დუელში თბილისის „დინამოსთან“ – მოგეხსენებათ, ეს გუნდები ნახევარფინალური „პლეი-ოფის“ მეოთხე საგზურისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში სტუ-სთან ერთად ერთმანეთის უშუალო კონკურენტები არიან.

რაც შეეხება პოლიტექნიკოსებს, მათ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის რუსთავის „აზოტის“ სახით უმკაცრესი გამომცდელი ჰყავთ, დღის ყველაზე მძაფრი მოვლენების განვითარება კი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის „ავიამშენისა“ და კიდევ ერთი ფავორიტის თსუ-ს თამაშშია მოსალოდნელი.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

№ 65. პარასკევი, 13 აპრილი, 2007 წელი.

# ადამიანი დროში

● ასეთი აღმშენებელი და სიკეთის გამცემი ადამიანი, რომლის დაქვემდებარებაშიც მძლავრი სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები შედიოდა, დღემდე მეუღლესთან — სათნო ქალბატონ ბელასთან და ორ ცოლ-შვილიან ვაჟთან ერთად, შვილიშვილებით დახუნძლული, ერთ ოთხოთახიან ბინაში ცხოვრობს. კომენტარი მართლაც ზედმეტია...



◎ თარიღი

# ბერმუხა

## დავით სარიშვილი – 80

**ოთხმოცის შესრულებულა და დღესაც მხნე და ჯანღონის სავსე, მისთვის ჩვეული თავმდაბლობით, უხმაუროდ შეხვდა თავის იუბილეს, რის აღსანიშნავადაც გურჯაანის რაიონის ველისციხის კულტურის სახლში მისმა თანასოფლელებმა, მეგობრებმა და მოწაფეებმა გულთბილი, სადა შეხვედრა-ბანკეტი გაუმართეს. ეს კანონზომიერიც გახლდათ, რადგან მშობლიური ველისციხე იყო ის თავდაპირველი არეალი, რასაც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, სამუშაოდ მიაშურა, სადაც, მანამდეც, სრულიად ახალგაზრდას, სკოლის მერხიდან ზვრებში უშრომია და ოჯახში ომში წასული შინმოუსვლელი მამის მაგივრობა გაუწევია...**

მოვლენებს გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ ათეული წლების გასვლის შემდეგ, როცა ბატონი დავითი გურჯაანის რაიონის პარტიულ ხელმძღვანელად დაინიშნა, უკვე დიდი სამეურნეო გამოცდილების მქონე ნიჭიერმა ორგანიზატორმა, რაიონს არნახული აღმშენებლობის წლები აჩუქა. მკვეთრად განვითარდა სოფლის მეურნეობა, შეიქმნა კულტურის ახალი კერები, კეთილმოეწყო გზები, აღდგა საკომუნიკაციო მეურნეობა... მეტი ყურადღება მიექცა სოფლის რთულ და გადამწყვეტ უბნებში მომუშავეთა — მექანიზატორების, მეცხოველეების და სხვათა შრომითი პირობების გაუმჯობესებას.

დავით ეფრემის ძე სარიშვილის არასრული „თანამდებობრივი მონაცემები": რიგითი ინჟინერ-მექანიკოსი, ველისციხის და გურჯაანის „მტს"-ების დირექტორი, გურჯაანის რაიონის რაიალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, გურჯაანის „სოფლტექნიკის" მმართველი, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონების სოფლის მეურნეობის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს უფროსი, მერძევეობა-მეხორცეობის ტრესტის მმართველი, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარე, საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის „საქსახკომსოფლტექნიკის" თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრი, გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი, სოფლის მეურნეობის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. მათ შორის, ღირსების ორდენით. არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი. სტუდენტთათვის დაწერა და გამოსცა მეტად საჭირო სახელმძღვანელოები. 1964 წლიდან არის საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი.

ამ წერილის ავტორები მოკლედ შევეხებით პერიოდს, როდესაც ბატონი დავითი „საქსახკომსოფლტექნიკას" თავმჯდომარეობდა, განაგებდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მექანიზაციას და მისი ხელმძღვანელობით მუშაობის ბედნიერებაც გვქონია.

ბატონმა დავითმა კავშირში ერთ-ერთმა პირველმა, ნოვატორული მიდგომითა და სხვა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, უმაგალითოდ ფართო მასშტაბებით დანერგა ტექნიკის კვანძებისა და აგრეგატების საცვლელი პუნქტები, რომელთა მეშვეობით სამუშაოდ გასული ტექნიკის მინდორში დაზიანებისას, წინასწარ შეკეთებული კვანძისა და აგრეგატის ადგილზე — კვალზე მიტანითა და დაზიანებულების ჩანაცვლებით, ტრაქტორი ან სხვა ტექნიკა დროის მინიმალური დანაკარგებით აგრძელებდა მუშაობას. მსგავსი ნოვაციით მიუდგა (1975-77 წ.წ.ქ ბატონი დავითი მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია-ავტომატიზაციის საკითხებსაც. მასობრივად დაინერგა ავტომატური სარწყულებლები და საწველი აგრეგატები... საერთო პროგრესის ფონზე, თბილისში გაიმართა საკავშირო სემინარი, რომელსაც დაესწრო „სოიუზსელხოზტექნიკის" თავმჯდომარე ა. ა. ეჟევსკი. სემინარის მუშაობის შეჯამებისას მაღალი შეფასება მიეცა დარგის განვითარების ტემპებს და ჩატარებულ ღონისძიებას. ამას მოჰყვა ახალი და მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების დანერგვა, მეცხოველეობის ფერმებში მექანიზაცია-ავტომატიზაციის თვისებრივად და ხარისხობრივად გაუმჯობესება.

უდიდესი მნიშვნელობის სიახლე იყო ბატონი დავითის ავტორობითა და ხელმძღვანელობით დანერგილი ყურძნის მოსავლის აღების მართვის ავტომატიზებული სისტემა „რთველის" სახელწოდებით. იგი მოიცავდა გამოთვლითი მანქანების, სატელეფონო სადისპეტჩეროების, რადიოტელეფონებით აღჭურვილი მობილური ავტოსარემონტო ლაბორატორიების ერთობლიობას. მოსავლის აღების შტაბში ოპერატიულად შემოდიოდა ზუსტი ინფორმაციები რთველის მიმდინარეობაზე და ასევე ოპერატიულად ეძლეოდათ დავალებები შესაბამის დანაყოფებს ამა თუ იმ შეფერხების აღმოსაფხვრელად. დახმარების გარეშე არ რჩებოდა რაიონების არც ერთი სიღრმისეული სოფელი. არ შეიძლება არ ითქვას თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების საქმეში ერთ ძალზე მნიშვნელოვანი მეთოდის დანერგვის შესახებაც. ბატონი დავითის წინადადებით, ჩამოყალიბდა კომბაინების რაზმები იმ რაოდენობით, რაც მარცვლის მწარმოებელ ყველაზე დიდ რეგიონში — კახეთში, მოსავლის აღების სამუშაოებს უზრუნველყოფდა; მემარცვლეობის რეგიონებიც მოსავლის შემოსვლის მიხედვით ზონებად დაიყო. საჭირო რაოდენობის კომბაინების რაზმი მის ასაღებად გადაადგილდებოდა აღმოსავლეთიდან — დასავლეთისკენ და სამხრეთ-დასავლეთით, სადაც თავთავიანი უფრო გვიან შემოდიოდა. ე. ი. ერთი და იგივე რაზმები მოსავალს მთელი საქართველოს მასშტაბით იღებდნენ. ამ ღონისძიების გატარებით მიღწეული იქნა: 1ქ კომბაინებისა და კომბაინერების დიდი რაოდენობის გამოთავისუფლება, რითაც იზოგებოდა დიდძალი მატერიალური რესურსი და გამორიცხავდა მექანიზატორების (უმეტესად — ტრაქტორისტებისქ ძირითადი სამუშაოდან მოცდენებს; 2ქ სამუშაოს სრული სპეციალიზაცია, რითაც ამაღლდა შესრულებული სამუშაოების ხარისხი და მარცვლეულის აღება უმნიშვნელო დანაკარგით მიმდინარეობდა. ღმერთმა ქნას, და, თუ საქართველოში მარცვლეული კულტურების წარმოება სასურველად გაიზრდება, ეს მეთოდი ერთადერთ გაზვინილად იქცევა ტექნიკის არსებული მიზერული რაოდენობით, მოსავლის უდანაკარგოდ აღება-დაბინავებისთვის.

დიდია ბატონი დავითის ღვაწლი საქართველოს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის საქმეში. ტექნიკის პარკის შევსება-განახლებაზე დღენიადაგ ფიქრითა და პრაქტიკული საქმიანობით, შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს სოფლის „საქსახკომსოფლტექნიკის" თავმჯდომარეების პერიოდში — უკვე 1978-79 წლებისთვის საქართველო არც ერთი სახის (მარკისქ ტრაქტორის, კომბაინის დეფიციტს არ განიცდიდა. დღეისათვის შემორჩენილი (უმეტესად მექანიზატორების ხელშიქ ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, რომლითაც ჯერაც ნიადაგი იხვნება და ითესება, იმ პარკიდანაა, რომელიც დავით სარიშვილის მეცადინეობით შეიქმნა. მაშინ, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, წელიწადში 3500-ზე მეტი ტრაქტორი შემოგვქონდა (შედარებით ახლანდელ სტატუს-კვოს, როცა ბოლო წლების განმავლობაში შემოტანილი სულ რამდენიმე ასეული ტრაქტორით, ლამის მთელი სოფლის პრობლემების გადაჭრა და მანამდე მიღწეული დონის აღდგენა-გადაჭარბება გვეიმედებაქ. მართალია იმ დროს სხვა სტრუქტურა და მექანიზმი იყო, მაგრამ ამის მიღწევა თუ რაოდენ თავგამოდებასა და საქმის ერთგულებას მოითხოვდა, ამას ქვემოთ მოტანილი მაგალითიც დაადასტურებს.

ყოველწლიურად, მატერიალური რესურსების ფონდების გამოსაყოფად, მოსკოვში რესპუბლიკებს გრაფიკი ეძლეოდათ. ასეთ დროს რესპუბლიკებიდან კომიტეტის თავმჯდომარეები, ჩვეულებრივ, არ მიდიოდნენ. ეს საქმე შესაბამის სამსახურებს ჰქონდათ მინდობილი. მაგრამ ბატონი დავითი აქაც გამონაკლისია — ის ფონდების გამოყოფის პროცესში უშუალოდ მონაწილეობს. ჯერ ქვემო საფეხურზე — განყოფილებათა დონეზე, როგორც იტყვიან, კბილებით იცავს წარდგენილ განაცხადებს: ტრაქტორებისა და სხვა ტექნიკის რაოდენობაზე, ახალ ტექნიკაზე, იმპორტულ მანქანა-იარაღებზე და ა. შ. შემდეგ, პრეტენზიების განხილვა-დაკმაყოფილების მიზნით, განაცხადებს უფრო მაღალ საფეხურებზე — სამმართველოებში, მთავარ სამმართველოში, მინისტრის მოადგილესთან გადახედავდნენ ხოლმე, განაცხადების დაცვის პროცესი იქ მთავრდებოდა. დაუზუსტებელია, მაგრამ ფონდების გამოყოფის ყოვლად გაუმართლებელი ეს პრაქტიკული წესი ბატონმა დავითმა, საკითხის მრავალგზის პრინციპულად დაყენებით, შეაცვლევინა. ამის შემდეგ საქართველოსთვის რესურსების გამოყოფა ერთჯერადად და ერთდროულად სამმართველო-განყოფილებებში იწყებოდა და იქვე მთავრდებოდა, რადგანაც ყველა ე. წ. რეზერვიც (იშვიათი გამონაკლისის გარდაქ გასანაწილებლად მათვე გადაეცათ.

მომსწრენი ვართ ბატონი დავითის „აფეთქებისა", როდესაც კომისიის წევრებს კახური პირდაპირობით შეუძახა, რესურსების გამოყოფისას გაანგარიშებას უგულებელყოფთ, ჩვენ ვერ ვიმათხოვრებთ, გვეკუთვნის და გამოყავით, აბა, რა გამოდის, თავად ჭრით და კერავთ, ზუსტად ისეა, როგორც თქვენში იტყვიან — Сам играет сам поет-ო. მაღალი პერსონებით დაკომპლექტებულ კომისიასთან ურთიერთობისას, ის შეჯახება გამონაკლისი არ ყოფილა. ეს ისე, სხვათა შორის.

მიუხედავად ბატონი დავითის კატეგორიულობისა, საკავშირო უწყებაში მას უსმენდნენ და პატივისცემით ეპყრობოდნენ.

ბატონი დავითის შრომისმოყვარეობასა და დაძაბულ დღის რეჟიმზე ხომ ანეკდოტური ამბები დადიოდა.

ბატონი დავითი წლების მანძილზე ძიუდოისტთა ფედერაციის თავმჯდომარე იყო და იმასაც დაატყო მზრუნველი ხელი. სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად, სპორტსმენებს დედაქალაქში დიდებული დარბაზი აუგო, რამაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს ძიუდოისტთა წარმატებებში.

სისტემის მუშა-მოსამსახურეთა საჭიროებისთვის, ბატონმა დავითმა, უწყების ძალებით, თბილისსა და რესპუბლიკის რაიონებში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები ააშენა. ნუცუბიძეზე, დიღომში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდნენ ბინის მიღების რიგში წლობით მდგომი მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც ბატონი დავითისადმი მადლიერების გრძნობა დღემდე არ განელებიათ. და ასეთი აღმშენებელი და სიკეთის გამცემი ადამიანი, რომლის დაქვემდებარებაშიც მძლავრი სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები შედიოდა, დღემდე მეუღლესთან — სათნო ქალბატონ ბელასთან და ორ ცოლ-შვილიან ვაჟთან ერთად, შვილიშვილებით დახუნძლული, ერთ ოთხოთახიან ბინაში ცხოვრობს. კომენტარი მართლაც ზედმეტია...

შევიტყვეთ, რომ ბატონ დავითს ახლახან არასამთავრობო ორგანიზაცია დაუფუძნებია, ორიგინალური სახელწოდებითა და მიზნით — „სოფლის განახლებული კავშირი". გაჩნდება სოფლელი და სოფლები, სადაც სოფლის პირობებისათვის მორგებული ინფრასტრუქტურის შექმნით, ადამიანები თავს უკეთ და კომფორტულად იგრძნობენ. მუშა ფუ-



კრისთვის მუშაობაა ყველაფერი, სხვანაირად ის ვერც იცოცხლებს. ბატონი დავითიც ფუტკარივითაა. მისი უმაღლესი მიზანი შრომა და შრომის შედეგით გახარებაა. იმიტომაც ჩაიფიქრა პენსიაზე გასულმა მაშვრალმა სოფლის ახლებურად მოწყობის ძნელი, მაგრამ კეთილშობილური პროექტის შემუშავება-განხორციელება, რაც, ალბათ, ჯერჯერობით ნახაზებში ცოცხლობს, მაგრამ მალე უცილობლად რეალობად გექციოთ, ბატონო დავით!

იდღეგრძელეთ!

**ზაურ კოდუა,**
**ანგელატ რუსეიშვილი,**
**ვალერი გობეჯიშვილი.**

**სურათზე: დავით სარიშვილი (მარცხნიდან მესამე) მეგობრებთან.**

● უპირველეს ყოვლისა, აღდგომის სიხარული და სიყვარული ადამიანის გულში უნდა იყოს, ის, რაც ვნახეთ აქ, ეს არის გამოვლინება ამ სიხარულისა და სიყვარულისა. საოცარია ქართველი ადამიანის გემოვნება და ხასიათი. ამ მინიატიურებში ჩანს სწორედ ქართული ხასიათი და ქართველი ადამიანის რწმენა



⊙ გამოფენა

# აღდგომის სცენები წინაპართა წარმოდგენებში

**აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს მიუძღვნა საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტმა უნიკალური მინიატიურების გამოფენა XI-XIII საუკუნეების სხვადასხვა ხელნაწერიდან, რომლებიც დაცულია ინსტიტუტის ფონდებში. ასეთი სახით მინიატიურები პირველად გამოიფინა და იგი წმ. სამების საკათედრო ტაძართან არსებული ახალგაზრდული ცენტრის თანადგომით მათსავე საექსპოზიციო დარბაზშია მოწყობილი.**



ექსპოზიცია მოიცავს აღდგომასთან დაკავშირებულ 26 სცენას, გოლგოთიდან ვიდრე ამაღლებამდე, სულ 50 ნიმუშს ისეთი გამორჩეული ხელნაწერებიდან, როგორიცაა ჯრუჭის, გელათის, მოქვის, ვანის სახარებები, დავითნი...

ეს მინიატიურები ქართველი ოსტატების მიერ არის შესრულებული. იგი შუა საუკუნეებში წიგნების ილუსტრაციის ერთადერთი საშუალება იყო და რაოდენ საამაყოა, რომ წარმოდგენილი ექსპონატები მხატვრული ღირებულების ხელოვნების იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენენ. როგორც ცნობილია, ამ ეპოქის მინიატიურული ფერწერის ნიმუშები გამოირჩევიან დიდი ოსტატობით და ისინი არ ჩამოუვარდებიან ამ დროისათვის ცნობილი ბიზანტიური, კონსტანტინოპოლის სკოლის მინიატიურების წერის მანერას. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, XI-XIII საუკუნეების ქართულ მინიატიურებს ახასიათებს თავშეკავებული ფერადოვნება, მსუბუქი, მოქნილი ნახატი. ხელნაწერი წიგნის მორთულობებისათვის აუცილებელი ყველა ძირითადი კომპონენტი ჩვენში სწორედ XI საუკუნეში ჩამოყალიბებულა.

საგამოფენო ექსპონატებში აღდგომასთან დაკავშირებული სცენები იწყება ჯვარცმიდან და მთავრდება ამაღლებით. ზოგჯერ სცენის რამდენიმე ვარიანტია წარმოდგენილი სხვადასხვა ხელნაწერიდან, მაგალითად ჯვარცმის, გარდამოხსნისა და დატირების, ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის, მარიამ მაგდალინელთან, მენელსაცხებლე დედების წინაშე მაცხოვრის გამოცხადების სცენებს ჯრუჭისა და გელათის სახარებებიდან ვეცნობით, იგივე სცენებს ზოგჯერ მოქვის სახარებაც გვიხატავს. ხელნაწერებმა შემოგვინახეს ზოგიერთი სცენის ერთადერთი ვარიანტებიც, მაგალითად, იოსებ არიმათიელის თხოვნა პილატესათვის მაცხოვრის გარდამოხსნის შესახებ, მღვდელმთავრების მიერ მცველების მოსყიდვა, პურის გატეხვა მაოსელ მგზავრებთან (მოქვიძ. ყურადღებას იპყრობს თამარ მეფის კუთვნილი ვანის სახარებისეული ილუსტრაციები.

ექსპოზიციის გახსნას მიესალმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

**— უპირველეს ყოვლისა, აღდგომის სიხარული და სიყვარული ადამიანის გულში უნდა იყოს, ის, რაც ვნახეთ აქ, ეს არის გამოვლინება ამ სიხარულისა და სიყვარულისა. საოცარია ქართველი ადამიანის გემოვნება და ხასიათი. ამ მინიატიურებში ჩანს სწორედ ქართული ხასიათი და ქართველი ადამიანის რწმენა,** — ბრძანა მან.

საგულისხმოა, რომ ეს მინიატიურები ხელნაწერთა ინსტიტუტმა ალბომის სახითაც მოამზადა ქართულ და ინგლისურ ენებზე და იგი გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა. პროექტის ხელმძღვანელია გამომცემელი ბუბა კუდავა, ხოლო ავტორი თამარ გეგია გახლავთ. ალბომის წარდგინება გაიმართება გამოფენის დახურვის დღეს, 16 აპრილს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

ხსოვნა

# რევაზ მალალაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედაგოგიურ კოლექტივს და საქართველოს საექიმო საზოგადოებას ღირსეული პიროვნება გამოაკლდა, გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ დურმიშხანის ძე მალალაშვილი. წავიდა და უამრავი თბილი მოგონება, დიდი სიყვარული, სითბო, სიკეთე და საოცრად დიდი ტკივილი დაგვიტოვა ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს, ქირურგთა დიდ ოჯახს, რომლის ღირსეული წევრი იყო სიცოცხლის ბოლო წუთამდე და დარჩება მარად.



ძალიან სამწუხაროა, როდესაც წარსულ დროში გიხდება ყველასათვის ძვირფასი ადამიანის, ცნობილი ქართველი ექიმის, მეცნიერის და პედაგოგის დამსახურებების აღნიშვნა.

ბატონი რევაზ მალალაშვილი დაიბადა 1951 წელს ქ. თბილისში, 1967 წელს აქვე დაამთავრა სკოლა, ხოლო 1973 წელს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1973-74 წწ. მუშაობდა თბილისის მე-2 სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში, 1974-75 წწ. გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1975 წლიდან იყო მოსკოვის ტრანსპლანტოლოგიის ს/კ ინსტიტუტის ასისტენტი, სადაც 1978 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1991 წელს — სადოქტორო დისერტაციები. აქვე სხვადასხვა წლებში მუშაობდა ჯერ უმცროს, შემდეგ კი უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1991 წლიდან მუშაობდა თსსი-ის ცენტრალურ ლაბორატორიაში უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. 1992 წლიდან არჩეულია პედიატრიული ფაკულტეტის ქირურგიულ სნეულებათა კათედრის პროფესორად, ხოლო 1997 წლიდან — ქირურგიულ სნეულებათა №2 კათედრის გამგედ.

ბატონი რეზო მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა მშობელ ქვეყანას. სწორედ მისი პრინციპული, ობიექტური დამოკიდებულებით კეთდებოდა მრავალი სასიკეთო საქმე როგორც უნივერსიტეტში, ისე ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში. იგი დიდ დროს უთმობდა ახალგაზრდების აღზრდასა და მეცნიერულ მუშაობას. მის მიერ გამოქვეყნებულია 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი. მისი ხელმძღვანელობით და კონსულტაციით დაცულია 10-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ბატონი რეზო მოწაფეებს, სტუდენტებს, კოლეგებს მედიცინის საფუძვლების შესწავლისა და მათი პრაქტიკული გამოყენების გარდა, პირად მაგალითს აძლევდა ცხოვრებისა და კაცობის ურთულესი წესებისა და ნორმების დასაუფლებლად.

პროფესორი რევაზ მალალაშვილი წლების განმავლობაში იყო თსსი-ის სამეცნიერო საბჭოს, თსსუ-ის პედიატრიული და მედიცინის ფაკულტეტების საბჭოს, ასევე სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი ქირურგიაში. იგი გახლდათ საქართველოს ქირურგთა ასოციაციის გამგეობის და საქართველოს ექიმთა ასოციაციის წევრი. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით და გრ. მუხაძის მედლით.

ბატონი რევაზ მალალაშვილი დამსახურებული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და კოლეგებს შორის როგორც ჩინებული მეცნიერი და პედაგოგი, გულისხმიერი და ყურადღებიანი ექიმი. მისი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, კოლეგებს ყოველთვის ჰქონდათ მისგან პროფესიული რჩევების მიღების იმედი. ამგვარი ადამიანების დანაკარგს ძალუმად მოისაკლისებს საზოგადოება.

პროფესორ რევაზ მალალაშვილის კოლეგები, მისი მეგობრები ყოველთვის პატივს მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა

⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ 61 წლის. მაქვს 30 წლის შრომის სტაჟი, მაგრამ პენსიის დასანიშნად არ მიმიმართავს, ვინაიდან მეზობელმა მითხრა, ქალებს და კაცებს პენსია 65 წლის ასაკში ენიშნებათო.**

**თქვენი გაზეთიდან გავიგე, რომ თურმე ერთი წელი და 5 თვე ტყუილად ვკარგავ პენსიას და სასწრაფოდ წარვადგინე საბუთები სოცუზრუნველყოფაში. პენსიას მიმართვის დღიდან მინიშნავენ. რამდენად სწორია ასეთი გადაწყვეტილება, მე ხომ უკვე 2 წელია აღარ ვმუშაობ?**

**თამარ ბუბუტეიშვილი**

**პასუხი:** თქვენ მიმართ მიღებული გადაწყვეტილება კანონიდან გამომდინარეა: სახელმწიფო პენსია სოციალური დაზღვევის ფონდის განყოფილებისათვის მიმართვისა და ყველა საჭირო საბუთების წარდგენის დღიდან ინიშნება.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ მცირე ხელფასზე, მინდა ვიმუშავო შეთავსებით. გთხოვთ, მაცნობოთ, კანონის თანახმად, ვისთან შეიძლება დაიდოს ხელშეკრულება შეთავსებით მუშაობის შესახებ?**

**ირაკლი კანიხაძე**

**პასუხი:** შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება.



* * *

**კითხვა: ვმუშაობ დაქირავებით. ჩვენი დამსაქმებელი ერთსა და იმავე პირობაზე ზოგჯერ რამდენიმე ხელშეკრულებას გვიფორმებს. გთხოვთ, გვაცნობოთ, ასეთ შემთხვევაში რომელ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა?**

**ჯემალ გოცირიძე**

**პასუხი:** დამსაქმებელთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

* * *

**კითხვა: ერთი თვის წინათ 8 წლის ნატვრა ამიხდა და პატარა ცოტნეს დედა გავხდი. გთხოვთ, განმიმარტოთ, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო რამდენი დღის შვებულება მეკუთვნის?**

**ნინი გელოვანი**

**პასუხი:** გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას და გაცნობებთ, რომ კანონის თანახმად, დასაქმებულს, თავისი მოთხოვნის საფუძველზე, ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო — 477 კალენდარული დღის ოდენობით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

მიხეილ ქუთათელაძე, ლევან მახვილაძე, აკაკი ბუღალაშვილი, ოთარ ონიანი, ბიძინა მოისწრაფიშვილი, გელა რევაზიშვილი, გურამ ჭანტურია, მურმან ხარაბაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ზაალ გენძეხაძე, თემურ ბიწაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქირურგი
რევაზ მალალაშვილი
და თანაგრძნობას უცხადებენ მამას ბატონ დურმიშხან მალალაშვილს და ოჯახს.

დემურ მიქაძე და გურამ გოგიაშვილი ოჯახებით გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ ცნობილ ღვაწლმოსილ მამულიშვილს დურმიშხან მალალაშვილს ვაჟიშვილის, გამოჩენილი ქირურგის, პროფესორ
რევაზ მალალაშვილის
გარდაცვალების გამო.

პროფ. ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ცენტრის დირექტორს მეცნიერების დარგში ვლადიმერ კუჭავას რძლის
დარეჯან გულუას
გარდაცვალების გამო.

# ბოლო გვერდი

● წყაროზე აღმართული ტაძარი დაარსდა ტყიან, კვიპაროსებით და ჭადრებით დაბურულ ადგილას. ამბობენ, რომ ამ წყაროსთან მისული ავადმყოფნი იკურნებოდნენ

## ◉ ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ივანე ხარიშარიშვილი, გივი წითლიძე, დარეჯან ტაკიძე, ამირან მექვაბიშვილი ახალგაშენებულ ჩაის პლანტაციაში.

მოგვაწოდა შოთა თოიძემ.

## ◉ სულიერება



### ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის – „წყარო ცხოვრებისა“ დღესასწაული

**13 აპრილს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ღვთისმშობლის ხატის – „წყარო ცხოვრებისა“ დღესასწაულს აღნიშნავს. იესო ქრისტეს აღდგომის პირველი კვირის, ანუ ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევს აღინიშნება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრის განახლების დღესასწაული, მას ცხოველსმყოფელი წყარო ანუ „წყარო ცხოვრებისა“ ეწოდება და ლეონ I მიერ V საუკუნეში (457წ.ძ წყაროსთან არის დაარსებული.**

...ცნობილია, რომ ნიკიფორე კალისტისი აღწერს ამ წყაროზე არსებულ ტაძარს. წყაროზე აღმართული ტაძარი დაარსდა ტყიან, კვიპაროსებით და ჭადრებით დაბურულ ადგილას. ამბობენ, რომ ამ წყაროსთან მისული ავადმყოფნი იკურნებოდნენ.

მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ტაძარი დაძველდა, ლეონ ბრძენმა ის განაახლა და ღვთისმშობლის სადიდებლად, მისი კურთხევის დღესასწაულიც დაადგინა.

„წყარო ცხოვრებისა“ კონსტანტინეპოლიდან დასავლეთით მდებარეობს. ბერძნულ ტაძრებს შორის ის ბრწყინვალებითა და სილამაზით გამოირჩევა.

XV საუკუნეში ნიკიფორე კალისტისმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის – „წყარო ცხოვრებისა“ აღნიშვნა გარდამავალ დღესასწაულთა რიგში მოაქცია, როგორც, მაგალითად, ათონის ივერიის მონასტრის ტრადიციითაა დადგენილი ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს „ივერიის ღვთისმშობლის“ ხატის დღესასწაული.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

### ალექსანდრე კუჭუხიძის სახელობის საქართველოს ლიცენზირებული კერძო ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი

### ა ც ხ ა დ ე ბ ს

**2007-2008 სასწავლო წლისათვის აბიტურიენტთა მიღებას სამართალმცოდნეობის, ეკონომიკის პროფილის, ჟურნალისტიკის, პოლიტიკის, დაწყებითი პედაგოგიკის, ინგლისური, რუსული, გერმანული და ფრანგული ენების სპეციალობებზე.**

**აბიტურიენტთა** საბუთების მიღება, გასაუბრება, შერჩევა, ხელშეკრულების გაფორმება, ჩარიცხვა დაიწყება 20 აპრილიდან და გაგრძელდება 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 3 სექტემბერს. კურსდამთავრებულები საატესტაციო-საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიიღებენ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ლიცენზირებული კერძო უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომს.

**მსურველებმა** რექტორატის სამდივნოს უნდა წარმოუდგინონ: განცხადება რექტორის სახელზე, საშუალო განათლების თაობაზე სიმწიფის ატესტატი (ან დიპლომი,ძ, პირადობის მოწმობის (პასპორტის,ძ ასლი, 3 ცალი ფოტოსურათი (3X4-ზე,ძ.

**სწავლება** ფასიანია. ერთი სასწავლო წლის საფასურია 1100 ლარი. I კურსის სტუდენტმა სწავლის საფასური უნდა გადაიხადოს მასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და მისი სტუდენტად ჩარიცხვის დღეს მთლიანად, შემდგომ კურსებზე პირველი ნახევარი – 1 სექტემბრამდე, მეორე ნახევარი – 1 დეკემბრამდე.

**მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №45; ტელეფონი: 31-18-50; 31-14-75.**

**რექტორატი**

## ◉ ანეკდოტები

პროვინციული ქალაქის სინაგოგაში საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორი შევიდა. მთელი ფინანსური ანგარიშგების ამსახველი დოკუმენტაცია შეამოწმა. ვერაფერი იპოვა. არადა, ხელცარიელი როგორ დაბრუნდეს სამსახურში! ამიტომაც რაბინს ჩააცივდა:

– თქვენთან მუდამ ანთია სანთლები. მათი ნამწვები სად მიგაქვთ?

– ბერლინში ვაგზავნით. იქ მათ გადაადნობენ და ახალ სანთლებს გვიგზავნიან.

– მაცის ნამცეცებს რას უშვრებით?

– მაგასაც ბერლინში ვაგზავნით. იქ გადაზელენ და მაცას გვიგზავნიან.

– აი, იმას რას უშვრებით, რაც წინადაცვეთის შემდეგ რჩება?

– იმასაც ბერლინში ვაგზავნით, სადაც მათ განსაკუთრებული მეთოდით გადაამუშავებენ...

– მერე რას გიგზავნიან?

– გააჩნია, როდის როგორ. აი, ახლა, მაგალითად, თქვენ გამოგაგზავნეს.

* * *

მივიდა ტიპი ძმაკაცთან. ბინის სისუფთავემ გააოგნა.

– ასე ვინ დაგიკრიალა აქაურობა?

– ჩემმა ძაღლმა.

– კარგი, ერთი...

– რა კარგი, ძალიან ჭკვიანი და საქმიანი ძაღლი მყავს. ერთი მისი მომზადებული საჭმელი გაჭამა და მერე ნახავ.

შეჭამეს კერძი. გადაირია ტიპი. გინდა თუ არა, მომყიდეო ძაღლი, შეუჩნდა ძმაკაცს. ის დიდხანს უარზე იყო. მერე კი ხუთი ათას დოლარად შეელია მურას.

ორი დღის შემდეგ ტიპი „გამყიდველს“ ურეკავს:

– ეს რა მიქენი, შენი ძაღლი არც ასუფთავებს და არც საჭმელს ამზადებს, მხოლოდ ანაგვიანებს ყველაფერს, ავეჯს ღრღნის და შუა ოთახში ისაქმებს. ეს რა საძაგელი ძაღლი მომყიდე.

– მისმინე, ძმაო, ჩემთან თქვი და სხვაგან არ გაიმეორო, თორემ თუ სხვებთანაც ასე აგინე შენი ძაღლი, იცოდე, ვერასოდეს გაყიდი.

* * *

თუ გინდა, რომ უფასო მედიცინის მომსახურებით ისარგებლო, ძალიან მდიდარი და ჯანმრთელი უნდა იყო.

* * *

თუ ჩვენი წამალი არ გიშველით და მაინც მოკვდით, მის ღირებულებას დაკრძალვიდან ცხრა დღის განმავლობაში დაგიბრუნებთ.

## ◉ ინფორმაცია

### მექრთამე პოლიციელი დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ქრთამის აღების ფაქტზე შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს გარდაბნის პოლიციის თანამშრომელი ლევან გუგუნაშვილი დააკავა, რომელმაც პრობლემების მოგვარების სანაცვლოდ, ქრთამის სახით 400 ლარი აიღო.**

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჩამოაქვეითეს დაკავებული პოლიციელის უშუალო ხელმძღვანელი ბესიკ გიორგაძე, ხოლო გარდაბნის პოლიციის უფროსს ტარიელ კამკამიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14.
ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12.
ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.